პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

[illegible]
კვირა,
20
იანვარი
1935 წ.
№ 18 (4175)

დღეს ნომერში

- — დაიხურა ამიერ-კავკასიის საბჭოების VII ყრილობა (1 გვ.)
- — ა-კ. მეშვიდე მოწვევის ცაკის პირველი სესია (1-ლი გვ.).
- — ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (1-ლი გვ.).
- — საბჭოთა კავშირის პროლეტარები ერთხმად იწონებენ სასამართლოს განაჩენს ზინოვიეველთა კონტრრევოლუციური ჯგუფის საქმეზე (1-ლი გვ.).
- — ა-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ღ. მუსაბეკოვის მოხსენების დასასრული (მე-2 გვ.).
- — კამათი ამხ. მუსაბეკოვის მოხსენების გარშემო (მე-3 გვ.)
- — საქ. საბჭოთა ყრილობის რეზოლუცია ამხ. ქ. თათარიშვილის მოხსენების ირგვლივ (მე-3 გვ.).
- — უცხოეთის ინფორმაცია (მე-4 გვ.).

ახალი ბრძოლებისა და გამარჯვებებისაკენ!

ამიერ-კავკასიის საბჭოთა VII ყრილობამ დაამთავრა მუშაობა. მუშათა და კოლმეურნეთა მასების ის დიდი შემოქმედებითი ინიციატივა და ენთუზიაზმი, რომელიც იგრძნობოდა რესპუბლიკურ ყრილობებზე, კიდევ უფრო მკაფიოდ, თვალნათლივ დავინახეთ ჩვენ მრავალერიანი ამიერ-კავკასიის ხალხთა საბჭოების ყრილობაზე.

ყრილობის დიდ შინაარსიან და საქმიან მუშაობას, რამაც 4 დღეს გასტანა, თან ახლდა დიდი აღტაცება, გამოწვეული საბჭოთა ამიერ-კავკასიაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებებით. ა. კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის **ამხ. მუსაბეკოვის** მოხსენებაში მკაფიოდ ამეტყველდნენ ციფრები და ფაქტები, რომლებიც ერთხმად ლაპარაკობენ ჩვენი მხარის წარმატებებზე ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის დარგში. მილიონები ახალი, შეძლებული და კულტურული ცხოვრების შენების დარგში.

ამიერ-კავკასია, წინად მეფის რუსეთის კოლონია, ხოლო შემდეგ მსოფლიო იმპერიალიზმის საბრძოლო მოედანი, სადაც ხალხთა შორის დაღვრილი სისხლის ტბა იდგა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში განვითარდა და აყვავდა. სამუდამოდ მოკვდა ხალხთა შორის შური და მტრობა. ახლა. ბაქოს ნავთის ძალა ამოძრავებს ტრაქტორებს და ავტომობილებს საბჭოთა საქართველოს და სომხეთის სოციალისტურ მინდორველებში. ახლა აზერბეიჯანის ნავთი და ბამბა, საქართველოს მარგანეცი. ჩაი და ციტრუსები, სომხეთის სპილენძი და მეცხოველეობა წარმოადგენს ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა განუყოფელ საკუთრებას, რამაც ჩვენი მხარე აქცია საბჭოთა ქვეყნის მარგალიტად.

ჩვენ აქ არ გავიმეორებთ იმ წარმტაც და დამაჯერებელ ციფრებს და ფაქტებს, რომლებიც საბჭოთა ამიერ - კავკასიის გამარჯვებებზე ლაპარაკობენ და რომლებითაც მდიდარია ამხ. მუსაბეკოვის მოხსენება.

ქვეყანა, სადაც ადამიანები ერთმანეთს ჟლეტდნენ, ხალხთა ინტერნაციონალური, ძმური კავშირის ციხე სიმაგრეა. ქვეყანა, სადაც უვიცობა და სიბნელე მეფობდა, მოწინავე, სოციალისტური კულტურის აყვავების გზას დაადგა.

ჩვენი ქვეყანა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით იქცა ბურჟუაზიის დროს გაუგონარ და ბურჟუაზიული წყობილების პირობებში წარმოუდგენელ ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუშად.

ბაქოს ნავთი, ჭიათურის მარგანეცი, ალავერდის სპილენძი—აი საბჭოთა ა. კ. ინდუსტრიალური სახე. აზერბეიჯანის ბამბა, საქართველოს ჩაი და ციტრუსი; სომხეთის მეცხოველეობა—აი მისი საკოლმეურნეო სოფლის პროფილი. თურქული, ქართული და სომხური მწერლობის, თეატრის, კინოს აყვავება: თურქი ქალი—ექიმი, ქართველი ქალი—კათედრაზე, სომეხი ქალი—ტრაქტორისტი და პირიქით—აი მისი სოციალისტური კულტურა, რომელსაც სჭედენ ახალი ადამიანები.

ყველაფერი ეს ამეტყველდა ა.-კ. საბჭოთა VII ყრილობაზე, რომელმაც შეაჯამა მოპოვებული გამარჯვება და შეიმუშავა პროგრამა ახალ წარმატებათა უზრუნველსაყოფად.

გამოიცვალა ქვეყანა; ადამიანებიც გამოიცვალნენ. ყრილობის ტრიბუნიდან ამაყად, მოხიბვლელად ლაპარაკობდნენ უკვე დიდხანია ჩადრახდილი თურქი ქალები. ლაპარაკობდნენ იმ წარმტაც, ლამაზ ცხოვრებაზე, რომელსაც ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით აშენებენ მშრომელთა მილიონები. ლაპარაკობდნენ იმ ამოცანებზე, რომელთა განხორციელება უახლოესი პერიოდის საკითხია.

და მთელი ყრილობის მუშაობა, მისი თვითეული დელეგატის მგზნებარე სიტყვა გამსჭვალული იყო დიდი ენთუზიაზმით და გატაცებით, მზადყოფნით მომავალ ბრძოლებისათვის მშრომელთა მილიონების საკეთილდღეოდ.

ყრილობამ მიიღო პრაქტიკული; საქმიანი დადგენილებანი, როგორც ა.-კ. მთავრობის ანგარიშის გამო; ისე მეცხოველეობის და საგზაო მშენებლობის განვითარებაზე ჩვენს მხარეში. ყრილობამ მთელი საბჭოთა ამიერ-კავკასიის მშრომელთ უთხრა თავისი ავტორიტეტული სიტყვა — გააჩაღონ ბოლშევიკური, მკლავებდაკარწახებული მუშაობა 1935 წლის გეგმის შესრულებისათვის ყველა დარგში, სოციალიზმის შემდგომი გამარჯვებისათვის ამიერ-კავკასიაში, რომელიც წარმოადგენს სოციალიზმის ციხე-სიმაგრეს აღმოსავლეთის საზღვარზე.

ა.-კ. მოძმე რესპუბლიკების ხალხთა მთელი გონება და გრძნობა მიმართულია ჩვენი დიადი და საყვარელი ბელადის—**ამხ. სტალინისადმი**, რომელმაც აღზარდა საბჭოთა ამიერკავკასიის კადრები და გამოსჭედა ჩვენი გამარჯვებანი. ამით აიხსნება უდიდესი აღტაცება, რომელიც ფლობდა მთელ ყრილობას, როცა დარბაზში ელვასავით გაანათებდა დიადი სტალინის სახელი. ამ აღტაცებით აიხსნება ხმაშეწყობილი, ა.-კ. ხალხთა მრავალ ენაზე ამღერებული ჰიმნი, „ინტერნაციონალი", რომლითაც დაამთავრა თავისი მუშაობა ყრილობამ.

ა.-კ. საბჭოთა VII ყრილობამ; ისე, როგორც რესპუბლიკურმა ყრილობებმა, ჩვენ მოგვიწოდა ენერგიული, თავდადებული, გატაცებული მუშაობისაკენ შემდგომი გამარჯვებებისათვის სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. მან მოგვიწოდა კლასობრივი სიფხიზლის გამახვილებისა და საბრძოლო რიგების კიდევ უფრო შემჭიდროვებისათვის ლენინის პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საყვარელი სტალინის გარშემო. ყრილობამ მოგვიწოდა ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის და ნაცადი სტალინელის — **ამხ. ლავრენტი ბერიას** მეთაურობით წარმატებით ვიმუშაოთ ა.-კ. ფედერაციის შემდგომი სამეურნეო-კულტურული აყვავებისათვის.

ახლა საქმე ჩვენზეა; რესპუბლიკის მუშებსა, კოლმეურნეებს და თვითეულ მშრომელზე შევასრულოთ ყრილობის ყველა დადგენილება, მისი მოწოდება, განვაგრძოთ ბოლშევიკური მუშაობა; ამხანაგებო!

ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ამასთან დაკავშირებით, რომ სვერდლოვის ოლქმა, სტალინგრადის მხარემ, უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკამ, ომსკის ოლქმა, კრასნოიარსკის მხარემ, იაკუტიის ა. ს. ს. რესპუბლიკამ და კარელიის ა. ს. ს. რესპუბლიკამ შეასრულეს ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მათთვის დაწესებული წლიური გეგმა პურის ჩაბარებისა და ხავსებით უზრუნველყვეს თავისი თავი თესლით საგაზაფხულო თესვისათვის, ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

ნება მიეცეს მოხსენებულ რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და მშრომელებს შეუფერხებლად აწარმოონ თავისი პურის (ფქვილის, მარცვლის, გამომცხვარი პურის) მიყიდვა როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის, ისე მისი გაყიდვა საქალაქო და სასოფლო ბაზრებზე და რკინისგზის სადგურებზე.

ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოში

მოსკოვი, 17 იანვარი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა ყველა პროფორგანიზაციას ფართოდ განმარტონ ს. ს. რ. კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს უკანასკნელი დადგენილება საშემოსავლო გადასახადის და კულტგამოსაღების ახალი განაკვეთების შესახებ. ეს განაკვეთები, აგრეთვე შრომის ხელფასის ახალი მინიმუმი, რომელიც არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, უზრუნველყოფენ საშემოსავლო გადასახადის და კულტგამოსაღების გადახდას მუშების მიერ და აღნიშნული განაკვეთები შორშანდელზე მაღალი კი არ არის, არამედ უმეტეს შემთხვევაში უფრო დაბალია, მიუხედავად ხელფასის მომატებისა ბარათების გაუქმების გამო.

პროფორგანიზაციებს წინადადება მიეცათ სათანადო ორგანოებთან ერთად ჩაატარონ იმის საყოველთაო შემოწმება, თუ რამდენად სწორად ხდება კულტგამოსაღების და საშემოსავლო გადასახადის პირველი გადასახდელის დაკავება. თვითეულ საამქროში უნდა შეიქმნას მუშათა კონტროლის მუდმივი პოსტი, რომელიც თვალყურს ადევნებს მუშების და მოსამსახურეების სწორად დაბეგვრას და აგრეთვე მათთვის ყველა შეღავათის მიცემას საშემოსავლო გადასახადის ხაზით. ყველა საამქროში, სადილოში, ანგარიშსწორების განყოფილებებსა და სალაროებში გამოფენილ უნდა იქნას პლაკატები განაკვეთების და მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათების ცხრილით, რათა მუშას თვითონვე შეეძლოს შრომის ხელფასიდან დაკავებული თანხის სისწორის შემოწმება. ყველა ძველი ცხრილი დაუყოვნებლივ გაუქმდეს. (ადს).

ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა

მოსკოვი, 17 იანვარი. 30 იანვარს რევოლუციის მუზეუმში იხსნება გამოფენა, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 11 წლისთავისადმი. მრავალ ფოტოგრაფიასა, დიაგრამებსა და ექსპონატებში დაწვრილებით ნაჩვენებია ლენინი, როგორც საკავშირო კომპარტიის (ბ) და კომინტერნის ბელადი, და მკაფიოდ გამოხატულია პარტიის და მუშათა კლასის ბრძოლა ლენინისა და მისი საუკეთესო მოწაფის — ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

გამოფენაზე განსაკუთრებით სრულად არის წარმოდგენილი ბრძოლა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისა და გლეხობის კოლექტივიზაციის გზაზე გადასვლისათვის.

გამოფენაზე დიდ ადგილს დაიკავებს პარტიის ბრძოლა კონტრ-რევოლუციურ ტროცკიზმთან და ზინოვიევ-კამენევის ანტისაბჭოთა ოპოზიციასთან ილიჩის გარდაცვალების შემდეგ. (ადს).

დაიხურა ა-კ. საბჭოთა VII ყრილობა

ყრილობის დახურვის წინ. მთელი ყრილობა და პრეზიდიუმი ესალმება დიადი ბელადის — ამხ. სტალინის არჩევას ა.-კ. ცაკის პირველ წევრად.

ყრილობის დახურვა

ამიერ-კავკასიის საბჭოთა VII ყრილობის 18 იანვრის დილის (მეექვსე) სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. **რადიონოვი**, გრძელდებოდა კამათი ამხ. **ილიუშინის** მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდა ამხ. **გამიდ სულთანოვი** (აზერბეიჯანი). იგი შეჩერდა აზერბეიჯანში საგზაო მშენებლობის მდგომარეობაზე. ამხ. **ნაგიევმა** ილაპარაკა რაიაღმასკომების როლზე საგზაო მშენებლობაში. ამხ. **ქურდაძე** (ტფილისი) შეეხო საქართველოში საგზაო მშენებლობის მდგომარეობას და აღნიშნა ამ დარგში მოპოვებული მიღწევები.

შემდეგ კამათში გამოდის **ამხ. ატაკიშევა** (აზერბეიჯანი), **ბოლქვაძე** (აჭარისტანი), **აკოპიანი** (სომხეთი).

ამხ. **ფატმა ალიკიზი** ესალმება ყრილობას ახალ[illegible] რაიონის მშრომელ ქალთა სახელით.

ამხ. **შევჩენკო** (ბაქო) ლაპარაკობს ურელსო გზების უდიდეს მნიშვნელობაზე.

ამხ. ნერსესიანის სიტყვის შემდეგ ყრილობას მიესალმნენ კანაკირშენის და სინთეტური კაუჩუკის ქარხნის მშენებლობის დელეგაცია.

შემდეგ კამათში გამოვიდნენ ამხ. **ტუმაევა** (აზერბეიჯანი) რუბა **ბაგიროვა** და ნოკაიძე.

საქართველოს **ჩაის** საბჭოთა მეურნეობების მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **რუდაკოვა** და კოლხიდმშენის კოლექტივის სახელით ამხ. გეგეჭკორი.

ამის შემდეგ ყრილობამ გამოჰყო კომისია ამხ. ილიუშინის მოხსენების გამო რეზოლუციის შესამუშავებლად.

კონსტიტუციის საკითხებზე ამავე სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ა.-კ. ცაკის მდივანი ამხ. **ს. თოდრია**.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა ყველა შესწორება, რომელიც შეტანილია ა.-კ. კონსტიტუციაში.

ამით დამთავრდა **ყრილობის დილის** სხდომა.

18 იანვრის საღამოს (მეშვიდე) სხდომაზე, რომელსაც ამხ. **ფ. მახარაძე** თავმჯდომარეობდა, ყრილობამ მოისმინა ამხ. ლოლიძის მოხსენება სამანდატო კომისიის მუშაობის შესახებ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეშვიდე ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 763 დელეგატი. მათგან: აზერბეიჯანიდან—322, სომხეთიდან—110 და საქართველოდან—331.

ყრილობის დელეგატებს შორის დაზგის მუშებია 177 (22,8 პროც.), იმ დროს, როდესაც მეექვსე ყრილობაზე იყო 72, ანუ 10,3 პროც. კოლმეურნეებია 106, (13,9 პროც.). მეექვსე ყრილობაზე კი იყო 7,6 პროც. ყრილობის დელეგატთა 7 პროც. სამეცნიერო მუშაკი აგრონომი და ინჟინერ-ტექნიკოსია.

ყრილობა ერთხმად ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა აგრეთვე რეზოლუციები მოსმენილ მოხსენებათა გამო.

ამის შემდეგ ყრილობა შეუდგა ამიერ-კავკასიის ცაკის წევრების არჩევას.

ყრილობის პარტიული ჯგუფის სახელით ამხ ს აკოპოვმა შეიტანა წინადადება ამიერ-კავკასიის ცაკში არჩეული იქნას 400 კაცი. წინადადებას ყრილობა ერთხმად იღებს.

— ამხ. სტალინი..

ა.-კ. ცაკის პირველ წევრად მსოფლიო პროლეტარიატის დიადი ბელადის დასახელებას, ყრილობა ხვდება მქუხარე ტაშით. რომელიც გადადის ოვაციაში. გაისმის საბრძოლო „ვაშა". ყრილობა ფეხზე ადგომით ესალმება ამიერ-კავკასიის ცაკის პირველ წევრად საყვარელი ბელადის ამხ სტალინის არჩევას.

გაისმის ხმები—„გაუმარჯოს დიდ სტალინს"!

მქუხარე ტაშით ხვდებიან ყრილობის დელეგატები ამიერ-კავკასიის ცაკის წევრად ამხ. **სერგო ორჯონიკიძის** არჩევას.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების საყვარელი ხელმძღვანელის, ერთ-ერთი საუკეთესო სტალინელის ამხ. **ლავრენტი ბერიას** დასახელებას ა.-კ. ცაკში ყრილობა ფეხზე ადგომით ესალმება.

მხურვალე ტაშისცემით ხვდებიან ყრილობის დელეგატები ამიერ-კავკასიის ცაკის წევრებად ამხ. **ფილიპე მახარაძის, ხაბეკოვის; რახმანოვის; ტერ-გაბრიელიანის ხაბეკოვის, რახმანოვის, ტერ-გაბრიელიანის** და **მგალობლიშვილის** არჩევას.

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. ფ. მახარაძე, რომელმაც შეაჯამა ყრილობის მუშაობა.

დარბაზში გაისმის პროლეტარული ჰიმნის,—„ინტერნაციონალის" დიდებული ჰანგები. ყველა დელეგატი დგას და მღერის რევოლუციის ამ ჰიმნს, რომლითაც ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.

ა.-კ. VII მოწვევის ცაკის პირველი სესია

ამიერ-კავკასიის ცაკის მეშვიდე მოწვევის პირველმა სესიამ ამიერ კავკასიის ცაკის თავმჯდომარეთ აირჩია ამხ. **ფ. მახარაძე, მ. ეფენდიევი** და **ს. მარტიკიანი**.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივნათ არჩეულია ამხ. **ს. თოდრია**.

სესიამ ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი აირჩია შემდეგი შემადგენლობით: **ამხ. ფ. მახარაძე, ეფენდიევი, მარტიკიანი, კუდრიავცევი, თოდრია, ბუნიატ-ზადე, გოგლიძე, ერემიანი, კუზნეცოვი, ვაცეკი, რადიონოვი, ჯუღელი, პ. ალნიაშვილი, კასიანი, ალანია, გიორგაძე** და **ი. ტაგიევი**.

კანდიდატებათ არჩეულია ამხ. **მატინიანი, მირკადიროვი, ალაჯალოვა** და **გიორგობიანი**.

ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ სესიამ ერთხმად დაამტკიცა ამხ. **გ. მუსაბეკოვი**.

საბჭოების საკავშირო მე-7 ყრილობის დელეგატები

(არჩეულია რესპუბლიკურ ყრილობებზე და დამტკიცებულია ა-კ. საბჭოთა მე-7 ყრილობის მიერ)

ი. ბ. სტალინი,
ს. ორჯონიკიძე,
ქ. ვოროშილოვი.

აზერბეიჯანიდან

მ. დ. ბაგიროვი, გ. მუსაბეკოვი, ს. კუდრიავცევი, ვ. პავერმანი, ლევანდოვსკი, ს. თოდრია, გ. რახმანოვი, ა. აგრბა, სულთან მეჯიდ ეფენდიევი, მ. ნარიმანოვი, ი. დ. სუმბათოვი, ათანასე აკოპოვი, მ. ბონდარენკო, ბორცი, ალექსანდრე კრილოვი, გამბოი ვეზიროვა, რ. გულბის, ე. როდიონოვი, კუზმინი, ა. ამატუნი, მეიდარ ვეზიროვი, მამედ მამედხანოვი, დ. კულიევი ა. მუსტაფაევი, პომიანი, მუხეიბ შახბაზოვი, რუხულა ახუნდოვი, ი. გაჯიევი, მამედ ხახაევი, ქალუბკინი, გიულ ალი კიზი მოვსუნი, არუხიაკ ბეგლიაროვა, მირზა ალი, მუხინი, სულეიმან კიზი ხალატუმი, ასად კიზი ალა-ბეგი, ესმათ ასადოვა, ვ. მერკულოვი, შამსადინსკი.

ნახიჩევანის მხარიდან

რ. ნოვრუზოვი.

მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქიდან

პ. პოღოსოვი, ვარენიკ პეტროსიანი.

საქართველოდან:

ლ. ბერია, ს. არუთინოვი, ბეჟანდარაშვილი სოფიო, იასონ ბევვაია, ვ. ბოლქვაძე, ი. ვაცეკი, ნ. გაფრინდაშვილი, ეთერი გაბედავა, ს. გოგლიძე, გ. გიორგობიანი, ვ. დეკანოზოვი, ვ. დარახველიძე, მარია დავითაია, თ. ელენტი, ილიუშინი, ნ. იმასარიძე, პ. ალნიაშვილი, კარანაძე, კოპლამაზაშვილი, კეცლიშვილი, ბუდუ მდივანი, ვ. მეტონიძე, ოლღა მელუა, მატრონა მექვაბიშვილი, შ. მაისურაძე, გ. მგალობლიშვილი, ფ. მახარაძე, ოლღა ფაჩუაშვილი, გ. პეტრიაშვილი, მიხა ცხაკაია, ვ. ცხოვრებაშვილი, შ. ჩიხლაძე, გ. სტურუა.

აფხაზეთიდან

ნ. ლაკობა, ვ. ლადარია, ნინო ბარგანჯია.

აჭარისტანიდან

ზ. ლორთქიფანიძე, ა. ვეურქოვი.

სამხრეთ-ოსეთიდან

ი. ჯიჯოიევი.

სომხეთიდან:

ა. ხანჯიანი, ს. ტერ-გაბრიელიანი, ს. ვარტიკიანი, დ. ბუნიატ-ზადე, ა. ოლინი, კ. მატინიანი, ა. გეორქიანი, ასატურ ოვანესიანი, რ. დაშტოიანი, ხ. მუგდუსი, ანიმან ხაჩატურიანი, ს. აკოპოვი, ტ. აკოპიანი, ნტ. აკოპოვი.

ამიერ-კავკასიის ცაკის წევრთა სია

ი. ბ. სტალინი, სერგო ორჯონიკიძე, ა. აბულიანი (ა.კ.ს.ფ.ს. რ-ის შინაგან საქმეთა სახკომისარიატი), **მანუკ აბეკიანი** (სომხეთი,—პროფესორი), **ვარტკეს ავაკოვი** (კომკავშირის ა.-კ. სამხ. კომიტ.), **ვართან ავაკოვი** (ა.კ.ს.ფ.ს. დ. მძ. მრეწ. სხ. კომისარიატის რწმუნებული ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკაში), **გარეგინ აგაბაბოვი** (სომხეთი—ინჟინერი), **რაფიკ აგამალიანი** (საქართველო, ახალქალაქის რაიკომი), **ალი სულთანოვი** (საქართველო), **ხორენ აბრამიანი** (სომხეთი), **ამბარცუმ აგაბეკოვი** (სომხეთი), **დიმიტრი აბდუშელაშვილი** (საქართველო ონის რაიკომი), **გ. ბ. აგავერდიევი** (აზერბეიჯანი სახკომსაბჭო), **ალექსი აგრბა** (აზერბეიჯანი აზ. კ.პ. (ბ) ც. კომიტეტი). **ფეიზულა აბასოვი** (აზერბეიჯანი ნუხის ქალაქის კომიტეტი), **აბდულაევი** (აზერბეიჯანი—ხაჩმასის რაიკომი), **აბდულოვი** (აზერბეიჯანი—ალი-ბაირამლის რაიონი), **ი. ადამია** (საქართველო—გალის რაიონი), **პ. ალნიაშვილი** (ა.კ.ს.ფ.ს.რ. სახკომსაბჭო) **პავლე აზარაშვილი** (საქართველო—ლაგოდეხის რაიონი) **აკოპ-აკოპიანი** (სომხეთი—მწერალი). **ხიმონ აკოპიანი** (სომხეთი—პროლეტარი ლიტერატორი), **სტეპან აკოპოვი** (სომხეთი—სომხეთის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი) **გაბრიელ აკოპიანი** (სომხეთი—რკინიგზელი), **გრიგოლ არუთინოვი** (საქართველო—საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი) **სერგეი არუთინოვი** (საქართველო—ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი) **ათანასე აკოპოვი** (აზერბეიჯანი—აზ. კომპარტიის ბაქოს რაიკომი), **ალი ალიევი** (აზერბეიჯანი—აგჯაბედის რაიკომი), **ნინო ალაჯალოვა** (პარტკოლეგია საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტთან), **ალაფუზოვ, დ. ალანია** (ა.-კ. ცაკი), **ტატიანა ალექსიშვილი** (საქართველო—ტფილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის ინჟინერი), **სერგეი აკოპოვი** (სომხეთი—ა.-კ. რკინიგზის მეხუთე საექსპლოატაციო რაიონის პოლიტგანყოფილება), **ბაგრატ არუთინ** (სომხეთი,) **არმენ ანანიანი** (სომხეთი— ახალბაიაზეთის რაიკომი), **ხუმბათ ამირჯანოვი** (საქართველო—ორჯონიკიძის სახ. ქარხნის მუშა), **ჯაბირ ალიევი** (აზერბეიჯანი), **გ. ანესოვლიანი** (სომხეთი—სომხ. კომპარტიის ერევნის კომიტეტი), **ამირასლანოვი** (აზერბეიჯანი —სალიანის რაიაღმასკომი), **აზიზ ალიევი** (აზერბეიჯანი). **ანი ამატუნი** (აზერბეიჯანი,—აზ. კომპარტიის ბაქოს კომიტეტი) **მუკუჩ არზანიანი** (აზერბეიჯანი—მიწსახკომი), **დავით აფციაური** (ყვარლის რაიკომი) **მიხეილ არუჩიანი** (სომხეთი—მხატვარი), **ლევონ არისიანი** (სომხეთი—სომხ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი), **გრიგოლ არუხტანოვი** (აზერბეიჯანი—აზერბეიჯანის სახ. ოპერა), **ალექსანდროვი** (აზერბეიჯანი—კაგანოვიჩის სახ. სარეწაოს მექანიკურ სახელოსნოს მუშა), **ანუშ ახრიანი** (აზერბეიჯანი—მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქის კოლმეურნე ქალი), **სევერიან არობელიძე** (საქართველო—სამტრედიის რაიკომი), **ლევან აპრიამოვი** (საქართველო—ტ.ს.ო.კ.-ი), **სანდრო ახმეტელი** (საქართველო— საქართველოს სახალხო არტისტი), **რუხულა ახუნდოვი** (აზერბეიჯანი), **დ. ახუნდ ზადე** (აზერბეიჯანი), **ასად ახუნდოვი** (აზერბეიჯანი—ტერტერმშენი), **შ. ახლანოვი** (აზერბეიჯანი—მასწავლებელი), **ა. ატოიანი** (სომხეთი), **ვალერიან ბაქრაძე** (საქართველო—საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი), **ლ. ბარხუდიანი** (საქართველო—ამბროლაურის რაიკომი), **მირონ ბაუმველდი** (საქართველო—საკავშირო ტრესტის „საქართველოს ჩაი"), **კიაზიმ ბაგამში** (საქართველო—ასპინძის რაიკომი), **გაიკ ბაგდასარიანი** (სომხეთი), **მ. დ. ბაგიროვი** (აზერბეიჯანი—აზ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი). **ს. ბადამიანი** (აზერბეიჯანი), **სოფია ბაზანდარაშვილი** (საქართველო—გორის რაიონის კოლმეურნე ქალი), **აზა ბარანოვა** (აზერბეიჯანი — ოქტომბრის რაიონის სამკერვალო ფაბრიკა), **იხანდიბ ბაბაევი** (აზერბეიჯანი—კიროვაბადის რაიონის კოლმეურნე ქალი), **ბაზარია** (საქართველო—აფხაზეთის კოლმეურნე ქალი), **ბალაჯდა ფარმაზაბ ყიზი** (აზერბეიჯანი—ვართაშენის რაიონის კოლმეურნე ქალი), **ერ. ბედია** (საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), **გიორგი ბელელაძე** (საქართველო—ხაშურის რაიკომი), **ვერა ბელიუხოვა** (საქართველო—ტფილისის თამბაქოს ფაბრიკის მუშა ქალი), **მუსლიუბ ბეგდემიროვი** (აზერბეიჯანი—კიროვის რაიონის [illegible]), **პ. ბელუნკო** (აზერბეიჯანი), **ლ. პ. ბერია** (საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), **ბორცი** (აზერბეიჯანი—აზ. ნავთი), **ზარონ ბიბინეიშვილი** (საქართველო—საქ. ხაბილგაში), **დადაშ ბუნიატ-ზადე** (ა.-კ. მიწსახკომი), **ლევონ ბუნიატიანი** (სომხეთი—ერევნის ზეთ-საპონსახდელი ქარხნის მუშა), **ი. ბირიუშევი** (აზერბეიჯანი—აზერბეიჯანის მიწსახკომი) **ბრონშტეინი** (აზერბეიჯანი ინჟინერი), **გ. ვასილკინი** (აზერბეიჯანი), **ვახილევი** (ა.-კ. საფეიქრო მრეწველობა), **იაკობ ვარძიევი** (ა.-კ. სახკომსაბჭო), **გალაკტიონ ვაშაძე** („ზაკპარტლესის" ა.-კ. კანტორა), **ივანე ვაცეკი** (საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პარტკოლეგია), **ვეიდარ ვეზიროვი** (აზერბეიჯანი—აზერბეიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი), **გამბაი ვეზიროვა** (აზერბეიჯანი), **ქიაზიმ ვეკილოვი** (აზერბეიჯანი—კუტკაშენის რაიონი), **ვოლჩოკი** (აზერბეიჯანი—აზერბეიჯანის ალკკ ბაქოს კომიტეტი), **აზატ ვშტუნი** (სომხეთი—მწერალი), **გ. გარხელანოვი** (საქართველო—საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი); **ნიკ. გაფრინდაშვილი** (საქართველო—ჭიათურა), **გრიგოლ გაბუნია** (საქართველო—ზესტაფონის რაიკომი), **შ. გაბრიჩიძე** (ა.-კ. ენერგეტ. სამმართველო), **ივანე გაბაშვილი** (საქართველო—სოხუმის რაიკომი), **ბეგლარ გარინი** (აზერბეიჯანი—ორჯონიკიძის სახელობის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა), **ისლამ გაჯიევი** (აზერბეიჯანი—გეოკჩაის რაიაღმასკომი), **გრანტ ღარიბიანი** (სომხეთი—ლენინაკანის საქალაქო კომიტეტი) **ეგუშ გამბარიანი** (სომხეთი—კიროვაკანის რაიონის კოლმეურნე ქალი). **ანკუშ გევორქიანი** (სომხეთი—კურდუკულინის რაიონის კოლმეურნე ქალი), **ავეტიკ გევორქიანი** (სომხეთი—ლენინაკანის საქალაქო საბჭო), **აგახი გალოიანი**— (საბჭოთა პარტკონტროლი აზერბ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან), **მარო ღვინიაშვილი** (საქართველო—ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნე ქალი), **არტაშ გეურქოვი** (საქართველო—აჭარისტანის საოლქო კომიტეტი), **გეიდაროვი** (აზერბეიჯანი—მოლოტოვის სახ. სარეწაო), **მიხეილ გობეჩია** (საქართველო—საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი), **ბესარიონ გოგია** (საქართველო—კოლხიდმშენი), **სევერიანე გოგუაძე** (საქართველო ალ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტი), **ვლადიმერ გოგუშიძე** (საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის სასოფლო სამ. განყ.), **გიორგაძე** (ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმი), **სერგეი გოგლიძე** (ა.-კ. სფსრ შინაგ. საქმეთა სახალხო კომისარიატი), **ვაგან გრიგორიანი** („ზარია ვოსტოკა), **გიორგი გიორგობიანი** (საქ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), **მარიამ გრიგორიანი** (საქართველო—ტფილისის მარგარინის ქარხნის მუშა ქალი), **გლუხოვი** (საქართველო—მუშა აჭარისტანიდან), **სურენ გრიგორიანი** (ა.-კ. სფსრ საჰაერო ფლოტი), **გუმედინი** (ა.-კ. სფსრ მიწსახკომი), **გულბიბი** (აზერბეიჯანი—აზერბ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი), **კარო გრიგორიანი** (სომხეთი—მარტუნინის რაიკომი), **ხინა გრიგორიანი** (სომხეთი—ბასარგეჩარის რაიონის კოლმეურნე ქალი), **აბრამ გულოიანი** (სომხეთი—სომხ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი), **ხალფა მუსეინოვი** (აზერბეიჯანი—შემახის რაიკომი), **მიკაილ ჰუსეინოვი** (აზერბეიჯანი—აზ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი), **ნაზადუიზი გულსახამი** (აზერბეიჯანი—ტერტერის რაიონის კოლმეურნე), **თეიმურ ჰუსეინოვი** (საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), **ვასილი დარახველიძე** (საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), **ზებეტ დანიელიანი** (სომხეთი—ვაგარშაპატის რაიონის კოლმეურნე), **დადაშევი** (აზერბეიჯანი—კედაბეკის რაიონი), **მუშეგ დანიელიანი** (სომხეთი—ბასარგეჩარის რაიკომი), **რუბენ დაშტოიანი** (სომხეთი—ცაკი), **ვლადიმერ დეკანოზოვი** (საქართველო—საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი), **ჯანიანი** (სომხეთი —მწერალი), **სიმონ ჯუღელი** (საქართველო—ტფილისის საბჭო), **ვლადიმერ ჯიქია** (საქართველო—ზრამჰესის მშენებლობა), **ივანე ჯიჯელავა** (საქართველო—საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატი), **ალ. ჯანვერდაშვილი** (საქართველო—ტფილისის [illegible] პარტკომი), **ალექსანდრა ჯიხიშვილი** (საქართველო, ტფილისის სატრიკოტაჟო მუშა ქალი), **ივანე ჯიჯოევი** (საქართველო სამხრეთ ოსეთის ცაკი), **დ. ჯერგენია** (საქართველო გაგრის რაიაღმასკომი) **გრიგოლ ჯავახიძე** (საქ.—საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ი) **ა. ჯავადოვი** (აზერბ.—საბირაბადის რაიკომი), **რაფტარ ჯაფაროვა** (აზერბეიჯანი იუსტიციის სახ. კომისარიატი), **მუხეინ ჯევარლინსკი** (აზერბეიჯანი—ზანგელანის რაიაღმასკომი), **გიორგი დოლიძე** (საქართველო—საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი). **[illegible]** (საქართველო— საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი), **ვ. ერემიანი** (ა.-კ. ფინსახკომი), **მ. ენგიბარიანი** (სომხეთი—სომხ. მიწსახკომი), **არნაის ერზინკიანი** (სომხეთი—სომხ. სახკომსაბჭო), **გარეგინ ესაიანი** (სომხეთი კამარლიუს მტს-ი), **არსენ ესაიანი** (სომხეთი), **ეიდუნიკი** (აზერბეიჯანი—ბაქოს დეპო), **თენგიზ ელენტი** (საქართველო—საქ. ცაკი), **სიმონ ელენტი** (სამრეწველო ბანკის ა.-კ. კანტორა), **ილია [illegible]** (საქართველო— ა.-კ. რკინიგზის მეორე საექსპლოატაციო რაიონის პოლიტგანყოფილება), **ივანე ჟუკოვი** (აზერბეიჯანი ქარხანა „პარკომუნა"), **მესროპ ზარიფიანი** (სომხეთი), **ორუჯეიზ ზარინშიანი** (აზერბეიჯანი განჯის რაიონი), **დ. ზანთარია** (საქართველო—აფხაზეთი), **ზოფი** (აზერბეიჯანი კასპიის ფლოტი), **ნადირ იბრაგიმოვი** (აზერბეიჯანი აზ. ფინსახკომი), **ნიკოლოზ ივანიშვილი** (საქართ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო საქართველოში) **ა. ივანოვი** (აზერბეიჯანი—საბჭოთა პარტიული კონტროლი), **იონიდი** (საქართველო—წალკის რაიკომი), **ნიკოლოზ ილიუშინი** (ა.-კ. სფს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისია), **ამო იხრაილიანი** (სომხეთი), **სერგეი იზნანოვი** (საქართველო—ტფილისის „26" სახ. რაიკომი), **აზნივ იზხანიანი** (სომხეთი), **ლიუსია ინჯიაიანი** (საქართველო—საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი), **გევორქ კაზარიანი** (სომხეთი კიროვაკანის ქიმიური კომბინატის მუშა). **კახიანი** (სომხეთი). **მუსტაფა გაჯი კახუმოვი** (აზერბეიჯანი—პროფესორი), **ბაში მირ კასუმოვი** (აზერბეიჯანი). **კადირლი** (აზერბეიჯანი), **კეორკოვა** (აზერბეიჯანი—ლენინის მე-13 საქალაქო საექსპლოატაციო რაიონის მუშა ქალი), **გიორგი კალმახელიძე** (საქართველო—ჭიათურის რაიკომი), **ამბერკი კეკელია** (საქართველო—საქ. კ.პ (ბ) ც. კ-ი), **მიხეილ კვირცხავა** (საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), **ეპიფანე კვანტალიანი** (ა.-კ. სფსრ-ის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი), **პროკოფი კერვალიძე** (საქართველო—კასპის მ.ტ.ს.), **ს. კიუტი** (საქართველო), **მამია კილაძე** (საქართველო—მახარაძის რაიკომი), **დ. კილაძე** (ა.-კ. რკინიგზა), **კნიგა, ბიქტორ კვიტაშვილი** (საქართველო—საქართველოს უზენაესი სასამართლო), **ანდრია კლევცოვი** (საქართველო—ცენტ. ჩამომსხმელი ქარხანა), **მატრონა კაკულაძე** (საქართველო—ქუთაისის რაიონის კოლმეურნე ქალი), **თედორე კორხაველი** (საქართველო—ქუთაისის საქალაქო კომიტეტი), **რაჟდენ კოზაევი** (საქართველო —სამხრეთ-ოსეთიდან), **ზ. კობახია** (საქართველო—აფხაზეთიდან), **კატრინი** (აზერბეიჯანი—სტალინის სახ. ქარხანა), **კონიუშკინი** (აზერბეიჯანი—სახკომსაბჭო), **მ. კოჩარი** (სომხეთი—არქიტექტორი), **სერგეი კლიმოვი** (აზერბეიჯანი—ბაქოს მუშათა თეატრი), **იოსებ კოპლამაზაშვილი** (საქართველო—გურჯაანის რაიკომი), **ა. კრილოვი** (აზერბეიჯანი, ლენინის სახ. სარეწაო), **კრეპლევი** (აზერბეიჯანი, შირვანის საბჭოთა მეურნეობა აგრონომი) **სერგეი კუდრიავცევი** (საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), **გრიგოლ კუპრაძე** (ა.-კ. სფსრ-ის სამხარეო კომიტეტი), **ა. კუზნეცოვი** (ა.-კ. პროფსაბჭო), **გიორგი ყურულაშვილი** (საქართველო, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი), **სევა კუხალეიშვილი** (საქართველო, მიწსახკომის სამტრესტი), **ნ. კურხული** (სომხეთი, სინთეტიური კაუჩუკის მშენებლობა), **ხარია კულიევა** (აზერბეიჯანი, საბირაბადის რაიონის კოლმეურნე ქალი), **ლაჩინკო** (აზერბეიჯანი, სტალინის მე-5 საექსპლოატაციო რაიონის მეთაური ქალი), **ნესტორ ლაკობა** (საქართველო, აფხაზეთის ცაკი), **ვლადიმერ ლადარია** საქართველო—საქ. კ.პ. (ბ) აფხაზეთის ოლქკომი), **ტარასი ლაგვილავა** (საქართველო, აფხაზეთის ცაკი), **ბ. ლაქტიონოვი** (სახელმწიფო ბანკის ა.-კ. კანტორა). **ლევანდოვსკი, ნოე ლეჟავა** ([illegible] ა.-კ. სამმართველო), **ლეჩინკი** (ა.-კ. სფსრ-ის სახ. საგეგმო კომისია), **ზაქარია ლორთქიფანიძე** (აჭარისტანის ცაკი), **სულიმან ლორთქიფანიძე** (საქართველო, საქ. კ.პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტი), **ლუკიჩევი** (აზერბეიჯანი (ბაქოს მუშათა თეატრი), **ფილიპე მახარაძე** (საქართველო, ცაკი), **ბაბილინე მახარაძე** (საქართველო, მახარაძის რაიონის კოლმეურნე ქალი), **ბაგრატ მაჩაიძე** (ა.-კ. საგზაო პროფკავშირი), **შალვა მათიკაშვილი** (საქართველო, მიწსახკომი), **სევერიანე მანხულია** (წითელ ჯვრის საზოგადოების ც. კ.), **მიხეილ მამაცაშვილი** (ტფილისის სტალინის რაისაბჭო), **ზინა მარტიროსიანი** (სომხეთი, ლენინაკანის სატრიკოტაჟო ფაბრიკის მუშა ქალი), **მახიო** (სომხეთი), **ნატალია მარტიროსიანი** (სომხეთი, ინჟინერი), **სერგო მარტიკიანი** (სომხეთი, ცაკი) **კარო მატინიანი** (სომხეთი, ერევნის საქალაქო საბჭო). **ვ. მამიკონიანი** (სომხეთი მიწსახკომი, **მოსემაშკევიჩი** (აზერბეიჯანი, ნავთის მრეწველობის მუშების კავშირის ც. კ.), **მ. მამედხანოვი** (აზერბეიჯანი, კუბის რაიაღმასკომი), **მირზა მამედოვი** (აზერბეიჯანი), **მუხეიბ მამედოვი** (აზერბეიჯანი. ა.-კ. რკინის გზა), **მაშვარა** (აზერბეიჯანი. მოლის საბჭოთა მეურნეობა), **გულამ მამედოვი** (აზერბეიჯანი, კომუნალური ბანკი), **მარკარიანი** (აზერბეიჯანი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო მთის ყარაბაღის ავტ. ოლქში), **მუსტაფა მამედოვი** (აზერბეიჯანი, კასუმ—იზმაილოვის რაიონის კოლმეურნე), **სტეფანე მამულოვი** (საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), **მეჯიდოვი** (აზერბეიჯანი), **მეხტიევი** (აზერბეიჯანი ლაჩინის რაიაღმასკომი) **მერკულოვი** (საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), **პავლე მელაძე** (დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული ა.-კ. სფსრ-ში), **ვალერიან მეტონიძე** (საქართველო, საბჭოთა-პარტიული კონტროლი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან), **სერგო მეგრელიშვილი** (საქართველო, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პარტკოლეგია), **არამ მირზებეკიანი** (საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო ა.-კ. ს.ფ.ს.რ.-ში), **ლევან მირზაბეკიანი** (აზერბეიჯანი, ჯაზერიტიფაკი), **მირხალაევი** (აზერბეიჯანი, ლენქორანის რაიკომი), **ტევადროს მირზაბეკიანი** (აზერბეიჯანი, ნარიმანოვის რაიონი), **მ. მირკადიროვი** (აზერბეიჯანი), **მარტალი ალი მირზა** (აზერბეიჯანი, სტალინის სახ. ქარხნის მუშა), **არჩილ მიქაძე** (ა.-კ. სახვაჭრობის სამმართველო), **ალექსანდრე მიქელაძე** (საქართველო, სამტრესტი), **ვასილ მზარეულიშვილი** (საქართველო, ფერომარგანეცის ქარხანა), **ბურკენ მამედოვა** (სომხეთი, ვედის რაიონის კოლმეურნე ქალი), **ატამ მკრტჩიანი** (სომხეთი, კაფანის რაიონის მაღაროელი), **ბუდუ მდივანი** (საქართველო, სახკომსაბჭო). **გერმან მგალობლიშვილი** (საქართველო—საქ. სახკომსაბჭო), **ალი მამედოვი** (სომხეთი—სახკომსაბჭო). **ღაზანფარ მუსაბეკოვი** (ა.-კ. სფსრ სახკომსაბჭო), **ყურბან მუსტაფაევი** (საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხ. კომიტეტი), **მუსხელიშვილი** (საქართველო—პროფესორი), **მუსტაფაევი** (აზერბეიჯანი—ბარდის მტს-ი), **ხ. მუგდუსი** (სომხეთი—შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო სომხეთში), **ალია მუსტაფაევა** (აზერბეიჯანი—ნუხის აბრეშუმის კომბინატი), **იაკობ მონიავა** (საქართველო ჩხოროწყუს რაიკომი), **ვ. ნარჩემაშვილი** (ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი), **მ. ნარიმანოვი** (აზერბეიჯანი—ბაქოს ორჯონიკიძის სახ. რაიკომი), **ნაზარლი** (აზერბეიჯანი), **ვერა ნაჭყებია** (საქართველო ზუგდიდის რაიონი), **ბაბში ნერსესიანი** (სომხეთი —კიროვაკანის რაიკომი), **მიხეილ ნიორაძე** (საქართველო—ლიმნატრესტი), **რუხულა ნოვრუზოვი** (აზერბეიჯანი—ნახიჩევანის ს.ს. რესპუბლიკა), **არონ ნოვიკოვი** (საქართველო—ტფილისის საბჭო), **ნოვიკოვი** (აზერბეიჯანი), **ნოდია** (საქართველო —აბაშის რაიაღმასკომი), **შალვა ნუცუბიძე** (საქართველო—პროფესორი), **ვაჰაკ ოვანესიანი** (სომხეთი—ერევნის მექანიკური ქარხანა), **არმენაკ ოვსეპიანი** (სომხეთი —ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატი), **ა. ოლინი** (ა.-კ. სფს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობა მოსკოვში, **პაპულია ორჯონიკიძე** (საქართველო), **ა. ორდუხანიანი** (სომხეთი—ალავერდის რაიკომი), **კარლო ორაგველიძე** (საქართველო —საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი), **ოტიანი** (საქართველო—ბაშკიჩეთის რაიკომი), **ვლადიმერ პავერმანი**—(ა.-კ. რკინიგზა), **ალიკო ფანცხავა** (ა.-კ. სფს რესპ. შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატი), **ისაკ პაპინიანი** (სომხეთი—ალავერდის კომბინატი), **მატაკ პაპიანი** (სომხეთი—სტეფანავანის რაიონი), **ვ. პოლიუდოვი** (ა.-კ. მილიცია), **დავით ფანცულაია** (საქართველო,—გორის რაიკომი, **პეტერსონი**—აზერბეიჯანი—აზნავთი), **პეჩერსკი** (ა.-კ. სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველო), **ელენე პელევეტინა** (აზერბეიჯანი—ორჯონიკიძის რაიონის სახელოსნოები), **ეიუბ პირვერდიევი** (აზერბეიჯანი—ბაქოს საბჭო), **ბ. პირვერდიევი** (აზერბეიჯანი — ბარდის რაიკომი), **ანდრო ფირცხალავა** (საქართველო), **ტატიანა ფირცხალაშვილი** (საქართველო—ტფილისის ფაბრიკა მკერავი № 1), **ჩუსეინ რახმანოვი** (აზერბეიჯანი—აზერბ. სახკომსაბჭო), **ჰასან რახმანოვი** (აზერბეიჯანი—სანაოსნო საზოგადოება „კასპარი"), **ა. რაფავა** (შინ. საქ. სახ. კომისარიატი), **არონ რახმანი** (საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), **ამბროსი რამიშვილი** (საქართველო—ფოთის საქალაქო კომიტეტი), **ე. რადიონოვი** (აზერბეიჯანი—ბაქოს საბჭო), **გიორგი რამიშვილი** (საქართველო—აჭარისტანის ცაკი), **ლიატიფ რახულოვი** (აზერბეიჯანი—აზ პროფსაბჭო), **რასკინა** (აზერბეიჯანი—ბელოკანის რაიონი), **ხონა რახულოვა** (აზერბეიჯანი—კუტკაშენის რაიონი), **რ. რემიხანოვი** (საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), **რზა ზადე** (აზერბეიჯანი—ინჟინერი), **მ. როზენცვეიგი** (ა.-კ. რკინიგზა), **ალ. რონზიანი** (საქართველო—ტფილისის კიროვის სახ. ქარხანა), **ჰარმენ საბაშვილი** (ა.-კ. რკინიგზის მშენებლობა), **ალექსანდრე საჯაია** (საქართველო—აჭარისტანის შინ. საქ. სახკომისარიატის რწმუნებული), **სადიხოვი** (აზერბეიჯანი—შემახის რაიაღმასკომი), **გამბარ სადიხოვი** (აზერბეიჯანი—შაუმიანის ინსტიტუტი), **ჰაიკ სარუხანოვი** (საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), **ფრანიაკ სარქისიანი** (სომხეთი—ლენინაკანის საფეიქრო მრეწველობა). **მარტიროს სარიანი** (სომხეთი მხატვარი). **არა [illegible] სარქისიანი** (სომხეთი—მოქანდაკე), **მინას სარქისიანი** სომხეთი), **ნერსეს სარქისიანი** (სომხეთი—ყამარლიუს რაიონი). **ჰასან საფაროვი** (აზერბეიჯანი—აზ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტი) **ვურღუნ სამედი** (აზერბეიჯანი—მწერალი). **კუდრატ სამედოვი** (აზერბეიჯანი—სალიანის რაიონი), **ს. სეფი, პავლე სერბიუკოვი** (საქართველო—ტფილისის საბჭო), **სარქის სერობიანი** (საქართველო—ტფილისი). **კონსტანტინე სიტნიკოვი** (საქართველო—ტფილისის „26" სახ. ქარხანა), **სინაისკი** (აზერბეიჯანი—აზ. პარტკონტროლი), **ლენა სიჟინავა** (საქართველო—ტფილისის სამკერვალო ფაბრიკა), **სკობელევი** (ა.-კ. სფსრ შინ. საქმეთა სახალხო კომისარიატი), **ს. სლუცკი** (აზერბეიჯანი—ნავთის გადამამუშავებელი ქარხნების ტრესტი), **ეპიფანე სკრიპნიკი** (აზერბეიჯანი შმიდტის ქარხანა), **იოსებ სტანსკი** (ა.-კ. სფს რესპუბლიკის შინ. საქმ. სახკომისარიატი), **გიორგი სტურუა** (საქართველო—პროფსაბჭოს), **ი. სუმბათოვი** (აზერბეიჯანი შინ საქმ. სახ. კომისარიატი), **გამით სულთანოვი** (აზერბეიჯანი—გზატრანსი), **რუსტამ სულეიმანი** (აზერბეიჯანი—პოეტი), **სულეიმანოვი** (აზერბეიჯანი—აზიზბეკოვის რაიონი) **მილდინ სურმანიძე** (საქართველო -- აჭარისტანის—სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი), **ალი ტაგი-ზადე** (სომხეთი), **იბრაჰიმ ტაგიევი** (აზერბეიჯანი—კიროვაბადის საქალაქო კომიტეტი), **ჯაფარაიროვი** (აზერბეიჯანი—ორჯონიკიძის სახ [illegible] საექსპლოატ. რაიონი), **ლევონ ტ ტულოვი** (ა.-კ. სახკომსაბჭო), **ა ტანინი** (სომხეთი —სომხ. პროფსაბჭო), **სააკ ტერ-გაბრიელიანი** (სომხეთი—სახკომსაბჭო). **ასატურ ტერ-ვართანოვი** (საქართველო—„ზაგოდკოვის" საქართველოს კანტორა), **აზნაფუშ ტერეგულოვი** (აზერბეიჯანი), **გიორგი თვალჭრელიძე** (საქართველო—ტფილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომი), **ტოლბინი** (აზერბეიჯანი—ინჟინერი), **ს. თოდრია** (ა.-კ. ცაკი), **მალაქია ტოროშელიძე** (საქართველო,—საქ. საგეგმო კომისია), **თუმანიანი** (სომხეთი). **გ. თუხარელი** (სომხეთი), **ალექსანდრე უბირია** (საქართველო—ტფილისის საბჭოს საფინანსო განყოფილება), **ამბერკი ფურუშაძე** (ა.-კ. სფს რესპუბლიკის მიწსახკომი), **საფარ ჰუსეინოვი** (აზერბეიჯანი—აზ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი), **ალახი ხანჯიანი** (სომხეთი—სომხ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი). **ხალვაში** (საქართველო—აჭარისტანის ქედის რაიკომი), **ა. ხაჩიევი** (სომხეთი), **ხალილოვი** (აზერბეიჯანი—აზ. ნავთვაჭრობა), **ხანბუდაგოვი** (ა.-კ. სფს რესპუბლიკის შინავაჭრობის სახ კომისარიატი), **სოლომონ ხითარიშვილი** (საქართველო—ტფილისის კალინინის სახ. ქარხანა), **სიმონ ხოშტარია** (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი), **ნიკოლოზ ხოშტარია** (საქართველო—ტფილისის „26" სახ. ქარხანა), **ხუმარიანი, ვასილ ხუბაევი** (საქართველო—სამხრეთ-ოსეთის მიწსახკომი), **გ. ცატუროვი** (სომხეთი—სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ი), **კირილე ცაგარელი** (საქართველო — ტფილისის ორთქლმავლების სარემ. ქარხანა). **ვაგარშაკ ცატუროვი** (სომხეთი), **ალექსანდრე ცხვარაძე** (საქართველო—ბორჩალოს რაიკომი), **კაკუცი ცენტერაძე** (ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნე ქალი), **არტემ წითლიძე** (საქართველო—სიღნაღის რაიკომი), **მართა ცოლიერი** (ამბროლაურის რაიონის კოლმეურნე ქალი). **გ. წულუკიძე** (ა.-კ. ფინსახკომი), **ვლადიმერ ცხოვრებაშვილი** (საქართველო—ბორჯომის რაიკომი), **ჩაუსკი** (ჟურნალ „პარტრაბოტნიკ ზაკავკაზიის" რედაქცია), **მარიამ ჩადუნელი** (საქართველო—კასპის რაიონის კოლმეურნე ქალი), **ხირუფ ჩილინგარიანი** (სომხეთი—დელიჟანის რაიონის კოლმეურნე ქალი), **ვალიკო ჭურღულია** (საქართველო—ტფილისის რაიაღმასკომი). **კონსტანტინე ჩხენკელი** (ა.-კ. სახკომსაბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისია), **გიორგი ჩხეიძე** (საქართველო—საქ. ძველ ბოლშევიკთა საზოგადოება, **სუსანა შავერდოვა** (სომხეთი—სომხეთის განსახკომი), **არამ შახბატიანი** (სომხეთი—სომხეთის ალკკ ც. კ-ი), **მუხეიბ შახბაზოვი** (აზერბეიჯანი განსახკომი), **ა. შახსუვაროვი** (საბჭოთა პარტიული კონტროლის ჯგუფი საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტთან), **შამსადინსკი** (აზერბეიჯანი—აზ. ცაკი). **შარიქაძე** (საქართველო—[illegible] რაიკომი), **შუტილი** (კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის რწმუნებული ა. -კ. სფს რესპუბლიკაში), **იოსებ შიროკოვი** (ა.-კ. სფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი), **შირვანზადე** (სომხეთი—მწერალი), **შიხიევი** (აზერბეიჯანი—კასუმ-იზმაილოვის რაიკომი). **ა. ერისთავი** („ზაკსოიუზი"), **კონსტანტინე ერისთავი** (საქართველო—პროფესორი). **ს. მ. ეფენდიევი** (აზერბეიჯანი ალკკომი), **ასკერ ეივაზოვი** (აზერბეიჯანი—აზ. სახელმწიფო საგეგმო კომისია), **აბდურიუბოვი** (საქართველო-ლიუქსემბურგის რაიკომი), **მელიქ იაკუბოვი** (აზერბეიჯანი—ასტრახან-ბაზრის რაიკომი), **მუხეინ იაკუბოვი** (აზერბეიჯანი ა.-კ. რკინიგზის პოლიტგანყოფილება), **იაკუბოვი** (აზერბეიჯანი—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველო), **იარცევი** (ამიერ-კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველო), **სანდრო იაშვილი** (რკინიგზის წითელი ჯვრის საზ-ბა). **[illegible] იაშვილი** (საქართველო—მწერალი).

ა/კ საბჭოთა VII ყრილობა

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის ანგარიში

ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. მუსაბეკოვის მოხსენება*)

მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის ზრდა

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ, ქალაქების ზრდამ, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ შექმნეს ყველა პირობა მშრომელთა მატერიალური დონის განუწყვეტლივ გადიდებისათვის.

მე მოვიყვან მხოლოდ უფრო დამახასიათებელ მაგალითებს, რომლებიც მოწმობენ, თუ როგორ წარმატებებს მივაღწიეთ ჩვენ. საანგარიშო პერიოდში ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის მოსახლეობა 11 პროცენტით გაიზარდა. ამავე დროს ქალაქების მოსახლეობა გაიზარდა 23,5 პროცენტით, ხოლო მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი ამავე ხნის განმავლობაში — 50,2 პროცენტით. 1935 წლის 1 იანვრისათვის ამიერკავკასიაში უკვე 800 ათასზე მეტი მუშა ირიცხებოდა.

მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვის საერთო ზრდასთან ერთად, იზრდებიან საწარმოო კადრებიც ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის ადგილობრივ ეროვნებათა წრიდან. მაგალითად, აზერბეიჯანში თურქ მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვმა 1934 წელს 120 ათას კაცს მიაღწია, საქართველოში მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი 180 ათას კაცამდე აღწევს—და სომხეთში სომხურ მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი საანგარიშო პერიოდში 50 და კიდევ მეტი პროცენტით გაიზარდა და ამჟამად 92 ათას კაცამდე აღწევს.



ა.-კ. საბჭოების მე-7 ყრილობის დელეგატი მეყჩენკო —ბაქოს დეპოს მემანქანე

ამიერ-კავკასიის ადგილობრივ ეროვნებათა წრიდან საწარმოო კადრების ზრდა ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ამიერ-კავკასიაში განუხრელად ტარდება ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა.

საგრძნობ წარმატებებს მივაღწიეთ ჩვენ წარმოებაში ქალთა ჩაბმის მხრივ. წარმოებაში ჩაბმულ ქალთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა; ქალთა რიცხვი მუშათა და მოსამსახურეთა შემადგენლობაში 19,3 პროცენტიდან (1930 წელს) ამჟამად 28,6 პროცენტს აღწევს, ხოლო საფეიქრო მრეწველობაში ქალები 64 პროცენტს შეადგენენ.

მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვის გადიდებასთან ერთად, საგრძნობლად გაიზარდა სამუშაო ხელფასის საერთო ფონდი და 1934 წელს იგი უკვე შეადგენს 1600 მილიონ მანეთს. იზრდებოდა აგრეთვე ცალკეული მუშაკის ხელფასი და 4 საანგარიშო წლის განმავლობაში ცალკეული მუშაკის საშუალო წლიური სამუშაო ხელფასი 87,8 პროცენტით გაიზარდა.

კომუნალური მეურნეობა

მშრომელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს კომუნალური და საბინაო მშენებლობაც. გასული 4 წლის განმავლობაში კომუნალურ საბინაო მშენებლობაზე დახარჯულია 360 მილიონ მანეთზე მეტი. მარტო საბინაო მშენებლობაზე ალმასკომების და საბინაო კოოპერაციის ხაზით დაიხარჯა 93 მილიონი მანეთი. საბინაო მშენებლობაში დიდძალი თანხები დააბანდეს სამრეწველო საწარმოებმაც. ამ ოთხი წლის მანძილზე მარტო აზნავთის ხაზით საბინაო მშენებლობაზე დახარჯულია 30 მილიონ მანეთზე მეტი.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ამიერ-კავკასიის ქალაქების კეთილმოწყობა. ბაქოს, ერევანს, ტფილისს შეემატა ათობით და ასობით ახალი საუცხოვო საცხოვრებელი სახლები, საზოგადოებრივი შენობები, ფაბრიკა-სამზარეულოები, კულტურის სასახლეები, რამდენიმე ათეულ ჰექტარზე გაშენდა მწვანე ნარგავები, ასფალტირებულ იქნა ქუჩები. ავებულია ახალი ფართობები, აშენდა ახალი, გაფართოვდა ძველი წყალსადენები და კანალიზაცია. ამ ხნის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ორი უდიდესი ქალაქი — ერევანი და კიროვაბადი — გამდიდრდა ტრამვაით, ხოლო ბაქო — გაზგაყვანილობით, რომელიც ამჟამად მომსახურებას უწევს მოსახლეობის 15 პროცენტზე მეტს.

უდავოა, რომ ჩვენმა საქალაქო საბჭოებმა უკვე გაუცნეს გემო ჩვენი ქალაქების კომუნალური მეურნეობის კულტურულად წაყვანის და მოვლის საქმეს.

განსაკუთრებით რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ა.-კ. ფედერაციის დედა-ქალაქის — ტფილისის შესახებ. მხოლოდ 1933 წლის დამლევიდან დაიწყო ტფილისში ცოტად თუ ბევრად ფართო მასშტაბით ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები. ისეთი სამუშაოები, როგორიცაა ნატახტარის წყალსადენის აგება, საბჭოთა კავშირში ერთერთი უდიდესი ხიდის აშენება, სანაპირო ქუჩის გაყვანა, ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედნის მშენებლობა, — უკვე ქმნიან ტფილისის რადიკალური რეკონსტრუქციის მომავალი უდიდესი სამუშაოების კონტურებს. და აქ საჭიროა იქნება ამიერ-კავკასიის მთავრობამ მიიღოს ზომები და დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს ორგანიზაციებს და ტფილისის საბჭოს, რათა უახლოეს წლებში ჩვენ ნამდვილად გადავაქციოთ ტფილისი სანიმუშო სოციალისტურ ქალაქად, როგორიც შეფერის ამიერ-კავკასიის ფედერაციის დედაქალაქს.

ჯანმრთელობა

როცა მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო დონეზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ის უდიდესი წარმატებანი, რომლებსაც ჩვენ მივაღწიეთ ჯანმრთელობის დაცვის დარგში, ამ 4 წლის მანძილზე ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები 38 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 140 მილიონ მანეთამდე (1934 წელს).

ამ ხარჯების გარდა, ახალი საავადმყოფოების მშენებლობაზე 1934 წელს დაიხარჯა 16 მილიონ მანეთზე მეტი იმ დროს, როცა 1930 წელს ამ საქმეზე დახარჯული იყო 3 მილიონი მანეთი; ამის შედეგად საწოლების რიცხვი 58 პროცენტით გაიზარდა, ხოლო სოფლად — 90 და კიდევ მეტი პროცენტით. ამჟამად თითქმის არ მოიპოვება ისეთი რაიონი, რომელსაც არ ჰქონდეს საკუთარი საავადმყოფო.

საჭიროა ცალკე შევჩერდეთ მალარიასთან ბრძოლის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებზე. ამიერ-კავკასიის მოსახლეობის დაახლოვებით 40 პროცენტი ცხოვრობს მალარიით დაავადებულ ადგილებში. ამ წლების მანძილზე ჩვენ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დიდძალი თანხების (13 მილიონზე მეტი 1934 წ., ნაცვლად 3.300 ათასი მანეთისა 1931 წელს) დაბანდების შედეგად, მასთან ბრძოლის უახლესი ფორმების და ხერხების გამოყენებით, კერძოდ, ავიაციის ფართოდ გამოყენებით, მივაღწიეთ მალარიით დაავადებულ ადგილების საგრძნობ გაჯანსაღებას და მალარიით დაავადების შემთხვევების თვალსაჩინოდ შემცირებას.

კურორტები

ჯანმრთელობის დაცვის საერთო საკითხებთან ერთად ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით — აგრეთვე ამიერ-კავკასიის მშრომელთა მომსახურებას საკურორტო და სანატორიული დახმარებით.

ამ წლების მანძილზე მარტო საქართველოს კურორტებში ჩვენ დავაბანდეთ თითქმის 50 მილიონი მანეთი.

1934 წელს ამიერ-კავკასიაში მარტო სოციალური დაზღვევის ორგანოების ხაზით კურორტებსა და დასასვენებელ სახლებში გატარდა 70 ათას მშრომელზე მეტი. ამას გარდა, საქართველოს საკურორტო სამმართველოს ხაზით გატარდა 25 ათას კაცზე მეტი, რომლებიც მკურნალობდენ და ისვენებდენ.

იმისათვის, რომ დავამთავრო ეს ნაწილი, ნება მიბოძეთ შევეხო ჩვენს ბიუჯეტს. ჩვენი ბიუჯეტი (სახელმწიფო და ადგილობრივი) 1934 წელს 1931 წელთან შედარებით, 79 პროცენტით გაიზარდა. ჩვენს ბიუჯეტში ძირითადი ადგილი უჭირავს სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორიდან მიღებულ შემოსავალს (548 მილიონი მანეთი 871 მილიონი მანეთიდან), ხოლო დანარჩენი, გაცილებით უფრო ნაკლები ნაწილი შემოდის გადასახადების წესით.

რაც შეეხება ჩვენს საბიუჯეტო ხარჯებს, უნდა ითქვას, რომ თითქმის მათ ნახევარს შეადგენენ სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა ხარჯები, ხოლო ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად გაღებულ ხარჯებიდან საგრძნობი წილი მოდის ჩვენი ქალაქების კომუნალურ და საბინაო მშენებლობაზე.

საბჭოთა ვაჭრობა

ნება მიბოძეთ ცალკე შევჩერდე საბჭოთა ვაჭრობის გაშლის საკითხებზე.

საბჭოთა ვაჭრობის გაშლა იმის გარდა, რომ იგი მოწოდებულია საგრძნობლად გაადიდოს და გამოაცოცხლოს საქონელბრუნვა ჩვენს ქვეყანაში, გააძლიეროს სოციალისტური ქალაქის კავშირი საკოლმეურნეო სოფელთან, — საბჭოთა ვაჭრობა აგრეთვე მოწოდებულია უდიდესი როლი ითამაშოს მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

ამ წლების მანძილზე საცალო საქონელთბრუნვა ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში 3 ნახევარჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა და 1934 წელს მან 2.891 მილიონ მანეთს მიაღწია. ამ ხნის განმავლობაში საცალო საქონელთბრუნვიდან სრულიად განიდევნა კერძო ვაჭარი, რომლის ბრუნვა 1930 წელს ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი იყო. გადიდდა ჩვენი მოვაჭრე ორგანიზაციების ქსელი და ამჟამად იგი, 1930 წელს არსებულ 7.400 ერთეულის ნაცვლად, თითქმის 15 ათას ერთეულს აღწევს.

ქალაქში გაიხსნა რამდენიმე ათეული ახალი დიდი სპეციალიზებული მაღაზია, რომლებიც თავისი ასორტიმენტის, საქმის დაყენების და მომხმარებლის კულტურული მომსახურების მხრივ უკვე ამჟამად წარმოადგენენ ნამდვილი კულტურული საბჭოთა ვაჭრობის ნიმუშს;

ამავე ხნის განმავლობაში ჩვენმა მოვაჭრე ორგანიზაციებმა საგრძნობ შედეგებს მიაღწიეს ვაჭრობის ორგანიზაციულად დაყენების საქმეში, და მნიშვნელოვნად შეამცირეს ბრუნვის ხარჯები: თუ, მაგალითად, კოოპერაციის ხაზით ეს ხარჯები 1931 წ. 18 პროცენტს აღწევდა, 1934 წელს იგი 12.7 პროცენტს უდრიდა, ხოლო სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით იმავე ვადებში შესაფერისად — 13 და 7,5 პროცენტს.

ა.-კ. საბჭოების მე-7 ყრილობის დელეგატები უსმენენ მოხსენებას

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად განმტკიცდა საკოლმეურნეო ვაჭრობა. 1933 და 1934 წლებში მშრომელებს საშუალება ჰქონდათ საკოლმეურნეო ბაზრებზე უფრო მეტი ოდენობით შეეძინათ საკოლმეურნეო წარმოების პროდუქტები— ბოსტნეული და სხვ. 1934 წელს მარტო კოოპერატიულმა და სახელმწიფო ორგანიზაციებმა საკოლმეურნეო ბაზრებზე შეიძინეს 85 მილიონ მანეთზე მეტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

აქ აგრეთვე არ შეიძლება არ ვილაპარაკოთ პურის გაშლილი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. გასული 15 დღის განმავლობაში პურის თავისუფალი ვაჭრობის გამოცდილება უკვე გვიჩვენებს, თუ, საბარათო სისტემის გაუქმებასთან და პურის თავისუფლად ვაჭრობასთან დაკავშირებით, რა უდიდესი შესაძლებლობანია დამარხული მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების გზაზე.

იზრდება და მტკიცდება საზოგადოებრივი კვებაც. ამ წლების განმავლობაში ერთიორად გადიდდა იმ პირთა კონტინგენტი, რომლებიც სარგებლობენ საზოგადოებრივი კვებით, და მიაღწია ნახევარ მილიონ კაცს.

*

ასეთია მოკლედ მთავრობის ღონისძიებანი მშრომელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. თქვენ ხედავთ, რომ შექმნილია ყველა პირობა მეორე ხუთწლედში მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი მკვეთრი ამაღლებისათვის.

ნაციონალურ-კულტურული მშენებლობა

ამხანაგებო! ამ წლების განმავლობაში ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების საფუძველზე, მხარის საწარმოო ძალთა სწრაფი ზრდის, სოფლის სოციალისტური მეურნეობის და ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასების მატერიალური დონის განუწყვეტლივ ამაღლების შედეგად, ჩვენ შევძელით მოგვეპოვებინა გადამწყვეტი გამარჯვებანი ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის ფრონტზე. ამიერ-კავკასია „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის" მშენებლობაშიც ფეხდაფეხ მიჰყვება მთელ საბჭოთა კავშირს, „ხდება წერა-კითხვის მცოდნე და კულტურულ ქვეყნად".

თავისი მნიშვნელობით ეს წლები წარმოადგენდა ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეობის უდიდესი ზრდის, ჩამორჩენილ ნაციონალურ რაიონების მოწინავე რაიონების დონემდე აყვანის პერიოდს.

ამ წლების მანძილზე განხორციელდა უდიდესი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობის საქმე — ა.-კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის ყველა ეროვნებას შორის შემოღებულ იქნა საყოველთაო, სავალდებულო სწავლება — ეს „ჩვენი ქვეყნის უდიდესი აღმავლობის ბაზა" (სტალინი). საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების მომენტისათვის. 1930-31 წელს სკოლებში ჩაბმული იყო ბავშვთა არაუმეტეს 54,3 პროცენტისა. ახლა ეს ამოცანა ჩვენ გადავჭერით — სკოლის ასაკის ყველა ბავშვი სწავლობს სკოლაში.

დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეთა საერთო კონტინგენტი ამ წლების განმავლობაში [illegible] გაიზარდა—58,9 პროცენტით, მიაღწია რა 1934-35 წელს 1.282 ათას მოსწავლემდე.

იმისათვის, რომ ნათელვყო, თუ როგორი გზა განვლეს ამიერ-კავკასიის მშრომელებმა რევოლუციის წლებში კულტურისათვის, კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში, არ შემიძლია არ მოვიყვანო ცნობები, თუ რამდენი კაცი სწავლობდა საერთოსაგანმანათლებლო და საშუალო სკოლებში 1914-15 წელს, როცა სულ იყო 259 ათასი მოსწავლე. ხოლო მუსავატისტების, მენშევიკების და დაშნაკების ბურჟუაზიულ-ნაციონალური მთავრობების ბატონობის წლებში — კიდევ უფრო ნაკლები — 241 ათასი კაცი. 1.282 ათასი მოსწავლე ახლა 241 ათასი მოსწავლე მაშინ—აი ციფრები, რომელიც თავისთავად ღაღადებენ და ამხვრევენ სოციალფაშისტების ყოველგვარ ცილისწამებას.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ამ წლების მანძილზე ჩვენ უდიდესი მუშაობა ჩავატარეთ იმისთვის, რომ სწრაფად წავეწია წინ ამიერ-კავკასიის ფედერაციის წინათ ჩამორჩენილი რაიონები. ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ამ წლების მანძილზე მოსწავლეთა რიცხვის 58,9 პროცენტით საერთო გადიდებასთან ერთად მოსწავლეთა რიცხვი, მაგალითად, აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში 76 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ისეთ ავტონომიურ რესპუბლიკებში, როგორიცაა ნახიჩევანის ს. ს. რესპუბლიკა—89,7 პროცენტით, სამხრეთ-ოსეთში — 126,3 პროცენტით.

არ შემიძლია არ შევჩერდე ქალთა განათლების ზრდაზე, როგორც ჩვენს დიდ მიღწევაზე. მთლიანად ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ქალების რიცხვი სკოლებში 37,7 პროცენტიდან (1930-31 წ.) გაიზარდა 42,6 პროცენტამდე (1933-34 წ.). და აქაც, ისე, როგორც მოსწავლეთა საერთო რიცხვში, წინათ ჩამორჩენილმა რესპუბლიკებმა და რაიონებმა უდიდესი ნაბიჯი გადადგეს წინ.

ამ წლებში პარალელურად მიმდინარეობდა სკოლების და მასწავლებელთა რიცხვის გადიდებაც. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი პოლიტექნიკური სკოლის ხარისხობრივი წარმატებანი, როგორიცაა: საერთოსაგანმანათლებლო მომზადების მოცულობის გაფართოება, მატერიალური ბაზის გაძლიერება, მეთოდური ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, სტაბილური სახელმძღვანელოების და სასწავლო პროგრამების შექმნა, მასწავლებელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ.

უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში. აქ, ამხანაგებო, წლითი-წლობით სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, თუ რა უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს არაბული ალფაბეტის ლათინიზაცია და მშობლიურ ენაზე დამწერლობის შექმნა ისეთი ხალხებისათვის, რომლებსაც არ ჰქონდათ დამწერლობა, რამაც ამ ხალხებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი გახადა წერა-კითხვის მცოდნეობა.

ოთხი წლის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში გატარდა 2,1 მილიონი კაცი (16-დან 55 წლის ასაკამდე) და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში—1,2 მილიონი კაცი.

ყოველივე ამის შედეგად წერა-კითხვის მცოდნეობა ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მოსახლეობაში (8-დან 50 წლის ასაკამდე) 55,8 პროცენტიდან (1930 წელს) გაიზარდა 87,6 პროცენტამდე (1934 წელს), (აქედან აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში 41,3-დან 82-მდე, სომხეთის ს. ს. რესპუბლიკაში—56,4-დან 91,1-მდე და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში — 68,3-დან 91,7 პროცენტამდე). იმისთვის, რომ დავხატო კულტურულ მშენებლობის საქმეში ჩვენი მიღწევების ცოტად თუ ბევრად სრული სურათი, მე აქ ნებას მივცემ ჩემ თავს შევჩერდე სპეციალისტთა კადრების და კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების საკითხზე. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, მუშფაკებში, ტექნიკუმებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 1929-30 წლიდან 1933-34 წლამდე ერთი-ორად და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, მიაღწია რა 105 ათას კაცს, აქედან უმაღლეს სასწავლებლებში — 31 ათას კაცს.



ა.-კ. საბჭოების მე-7 ყრილობის დელეგატი ნარდოს ავაკიმოვა, განჯის [illegible] კომბინატის ფაბრიკა.

მე არ შევჩერდები იმ ხარისხობრივ გარდატეხაზე უმაღლესი სკოლის სპეციალისტთა მომზადების საქმეში, რომელიც უკანასკნელ დროს იქნა მიღწეული. უდიდესი კმაყოფილებით მოვიყვან კიდევ ორიოდე ციფრს. ოთხი წლის განმავლობაში ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ეკონომიკის და კულტურის ყველა დარგმა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებიდან, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებიდან, ტექნიკუმებიდან მიიღო უმაღლესი კვალიფიკაციის 14,7 ათასზე მეტი სპეციალისტი, და საშუალო კვალიფიკაციის 30,6 ათასი სპეციალისტი,

სოციალისტური კულტურის უდიდესი ზრდის სხვა მაჩვენებლებიდან შეიძლება აღინიშნოს, რომ კლუბების ქსელი ერთი-ორად გაიზარდა, ერთიორად და კიდევ მეტად გაიზარდა ბიბლიოთეკების რიცხვი, 31-დან 44-მდე გაიზარდა პროფესიული თეატრების რიცხვი, თითქმის ერთიორად გადიდდა კინოდანადგარების რიცხვი და სხვ.

როგორც მოსახლეობის კულტურული დონის უდიდესი ზრდის განსაკუთრებით აშკარა დამამტკიცებელ საბუთს, მე მოვიყვან კიდევ ყოველი სახის ბეჭდვითი სიტყვის მძლავრ აღმავლობას და განვითარებას. მაგალითად, გაზეთების რიცხვი 49-დან (1930 წელს) 371-მდე გაიზარდა. ხოლო მათი ერთხელადი ტირაჟი გაორკეცდა, მიაღწია რა 1,4 მილიონ ეგზემპლიარს. ეს ზრდა უმთავრესად წარმოებდა ძირეული საფაბრიკო-საქარხნო გაზეთების, აგრეთვე რაიონული და პოლიტგანყოფილებათა გაზეთების ხარჯზე.

რაც შეეხება წიგნის პროდუქციის ზრდას, 1930-დან 1935 წლამდე გამოცემულია 17,5 ათასი და კიდევ მეტი სახელწოდების წიგნი 88,4 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით და ნახევარ მილიარდზე მეტი ნაბეჭდი ფურცლით. მათ შორის ქართულ, თურქულ და სომხურ ენებზე გამოცემულია ვ. ი. ლენინის ექვსტომეული და თხზულებათა დაახლოვებით 30 ტომი, გამოდის დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ლიტერატურის, კლასიკოსები და სხვ. ყველა ეს უდიდესი მიღწევა მოწმობს კულტურული მშენებლობის უმაგალითო გაქანებას.

ჩვენში შექმნილია ყველა წანამძღვარი კულტურის უმაგალითო აყვავებისათვის, რომელიც სწრაფი ტემპებით იზრდება და ვრცელდება ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მშრომელთა სულ ახალ-ახალ ფენებს შორის. მეცნიერებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ ამიერ-კავკასიის ფედერაციის თვითეულ რესპუბლიკაში ამ წლების მანძილზე უკვე მოგვცეს შესანიშნავი ნიმუშები,

ნებას მივცემ ჩემ თავს დავასახელო ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც რამდენადმე გვაძლევენ საშუალებას წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რა უდიდესი კულტურული ღირებულებანი შეიქმნა ამიერ-კავკასიის ფედერაციის თვითეულ რესპუბლიკაში. ამიერ-კავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადამ, რომელიც მოეწყო 1934 წლის გაზაფხულზე, დაგვანახვა ყველა ეროვნების მშრომელი მასების მხატვრულ-მუსიკალური თვითმოქმედების უმაგალითო ზრდა, გვიჩვენა სახალხო შემოქმედების მაღალი ნიმუშები. ამ დათვალიერებამ ბრწყინვალედ დაადასტურა ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო „ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივი მასშტაბით გამოეყვანა მშრომელთა ნამდვილი უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავისი ნიჭი, გამოამჟღავნონ ტალანტები, რომლებიც მრავლად მოიპოვება ხალხში და რომლებსაც ათასობით და მილიონობით სჯიჯგნიდა, სრესდა და ახრჩობდა კაპიტალიზმი".

ოლიმპიადამ გვიჩვენა ასობით მუშური და საკოლმეურნეო თეატრები, ათასობით თვითმოქმედების წრეები, საკუთარი ნაციონალური შემოქმედება ამიერ-კავკასიის ყველა ხალხისა, რომლებსაც პროლეტარულმა რევოლუციამ გაუხსნა განვითარების ფართო გზა, გადაუშალა უმაგალითო შესაძლებლობანი ხელოვნების განვითარების დარგში.

უდიდესი გერმანელი დირიჟორი ფ. შტიდრი, რომელიც ოლიმპიადის დროს ტფილისში იმყოფებოდა, თავის შთაბეჭდილებებში ოლიმპიადის გახსნის შესახებ მას უწოდებს კულტურული აღმავლობის „არაჩვეულებრივ სანახაობას", რომელზედაც ოცნებაც კი არ შეუძლიათ ეგრეთწოდებულ „კულტურულ" კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ანდა ავიღოთ მწერალთა ყრილობები, რომლებიც შარშან ჩატარდა ფედერაციის სამივე რესპუბლიკაში. ყველა ისინი აშკარად მოწმობდენ ნაციონალური კულტურის სწრაფ ზრდას. დღეს უკვე შემეძლო მომეყვანა მრავალი მაგალითი, დამესახელებია რამდენიმე ათეული უაღრესად ნიჭიერი ნაციონალური მწერალი, რომლებმაც მხატვრულ სახეებში, შესანიშნავ ლექსებში, მოთხრობებში და ვრცელ რომანებში აღბეჭდეს პროლეტარული რევოლუციის დიადი იდეა აღმოსავლეთის მიჯნაზე, აღბეჭდეს სოციალიზმის მშენებელთა გმირობა, ადამიანთა შეგნების გარდაქმნა, მათი ინტერნაციონალური მთლიანობა.

მე არ ვაპირებ კიდევ შევაჩერო ყრილობის ყურადღება კულტურის მშენებლობის საქმეში ჩვენს უდიდეს გამარჯვებათა დეტალებზე. ვიტყვი მხოლოდ, რომ ყველგან, კულტურის ყველა დარგში ჩვენ ვხედავთ კულტურის უმაგალითო აყვავებას. პარტიის ხელმძღვანელობით, კლასობრივი მტრის აგენტურის გამოსვლების დაუზოგავად გამომჟღავნებით, იდეოლოგიურ ფრონტზე სიფხიზლის გაძლიერებით, მეცნიერებასა, ლიტერატურასა და ხელოვნებაში პარტიულობისათვის ბრძოლით ჩვენ უახლოეს წლებში მივაღწევთ ახალ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს კულტურის აყვავების საქმეში, შევქმნით შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ყველა დარგში, რომლებიც მომსახურებას უწევენ პროლეტარიატს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ლენინ-სტალინის დროშით—ახალ გამარჯვებებისაკენ

ამხანაგებო! ჩვენი მუშაობის ყველა დარგში, სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, ჩვენ, როგორც ხედავთ, უდიდეს გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიეთ. პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით დიდი სტალინის მეთაურობით საბჭოები წარმოადგენენ პარტიის გენერალური ხაზის გამტარებლებს ქალაქის და სოფლის მშრომელთა უფართოეს მასებში. პროლეტარიატის დიქტატურის ყველა წლის განმავლობაში, ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდან დაწყებული, საბჭოები წარმართავდენ და ახლაც წარმართავენ უფართოესი მასების შემოქმედებითი ენტუზიაზმს სოციალისტური მშენებლობისაკენ, პროლეტარული დიქტატურის ყოველმხრივ განმტკიცებისაკენ.

„სახელმწიფოს კვდომა, — აღნიშნავდა ამხ. სტალინი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის (1933 წ.) პლენუმზე, — მოხდება არა სახელმწიფო ძალაუფლების შესუსტებით, არამედ მისი მაქსიმალური გაძლიერებით, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ საბოლოოდ გავანადგუროთ მომაკვდავი კლასების ნაშთები და მოვაწყოთ დაცვა კაპიტალისტური გარემოცვის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი და არც მალე იქნება მოსპობილი".

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის საბჭოები ამ წლების განმავლობაში საგრძნობლად განმტკიცდენ, მათ გარდაქმნეს თავისი მუშაობა, შექმნეს ახალი აქტივი ქარხნების, ფაბრიკების, სარეწაოების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა წარმოების დამკვრელთა აქტივის შემადგენლობიდან; საბჭოებმა იწყეს მეტი ყურადღების მიქცევა წარმოების საკითხებისადმი, ჩვენი მრეწველობის საწარმოო გეგმების შესრულებისადმი, კოლმეურნეობათა განმტკიცებისადმი, სოფლის მეურნეობის დარგში სახელმწიფო გეგმების შესრულებისადმი, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისადმი.

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სასოფლო საბჭოებმა, საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, საბჭოთა მუშაობა დააყენეს უფრო მაღალ დონეზე, რომელიც შეეფერება ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს. ა.-კ. ფედერაციის თვითეულ რესპუბლიკაში შეიძლება დავასახელოთ ბევრი სასოფლო საბჭო, როგორიც, მაგალითად, ბაიანდურის საბჭო სომხეთში, ზიატლინის საბჭო აზერბეიჯანში, სალმენის საბჭო საქართველოში და სხვ., რომლებიც იძლევიან სოფლად სამეურნეო-პოლიტიკური მუშაობის ნამდვილ ნიმუშებს. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ჩამორჩენილი სასოფლო საბჭოები.

ჩვენი მშენებლობის მოცემულ ეტაპზე რევოლუციური კანონიერების განმტკიცების საკითხებს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საბჭ. კანონების მტკიცედ დაცვა პიროვნებათა მიუხედავად, ულმობელი ბრძოლის გაჩაღება სოციალისტური საკუთრების მტაცებლებთან, განსაკუთრებით კოლმეურნეობაში, საქონელგამტარ ქსელში და სხვ.—აი რევოლუციური კანონიერების განმტკიცების უაღრესად აქტუალური ამოცანები.

ყოველთვის მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობა, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცება, საბჭოთა ვაჭრობის გაშლა და სხვა საკითხები წყდება, უწინარეს ყოვლისა, ცოცხალი ადამიანების ორგანიზაციის გზით, წყდება მასების პოლიტიკური აღზრდის გზით. ადამიანების სწორად განლაგება და ორგანიზება—ეს ყოველი ჩვენი საქმის სანახევროდ წარმატებას ნიშნავს.

ამხანაგებო! დიდია ჩვენი გამარჯვებანი. კლასობრივი მტერი დამარცხებულია, მაგრამ აშკარა ბრძოლაში განადგურებული კლასობრივი მტრის ნაშთები არ წყვეტენ თავის საზიზღარ გამოსვლებს. რაც უფრო დიდია ჩვენი გამარჯვებანი, მით უფრო ძლიერია მტრის ნაშთების უძლური გაავთრება, მით უფრო ბოროტია მისი ცდები—ჩაგვცეს ზურგში ლახვარი, ვნება მოგვაყენოს ჩვენი მშენებლობის ყველა უბანზე. ამიტომ აუცილებელია მეტი კლასობრივი სიფხიზლე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევასუსტოთ ყურადღება, არ უნდა მოვადუნოთ პროლეტარული სიფხიზლე. კულაკობის ნამსხვრევების, გაკოტრებული მენშევიკების, მუსავატელების, დაშნაკების მახინაციებისადმი, აგრეთვე ტროცკისტულ-ზინოვიევური ნაძირალებისადმი. ძირფესვიანად უნდა აღმოვფხვრათ მტრის ეს საძაგელი ნაშთები.

ჩვენში, მრავალეროვნებიან ამიერ-კავკასიაში, საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლის გამოჩენა ნაციონალური ურთიერთობის სფეროში, სადაც კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში, როგორც ამხ. სტალინი გვასწავლის, განსაკუთრებით ცხოველია. ამიტომ საჭიროა მაქსიმალური ყურადღება მივაქციოთ ლენინ-სტალინის ბოლშევიკური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარებას, გამანადგურებელი წინააღმდეგობა გავუწიოთ გადახრებს როგორც ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ, ისე დიდმპყრობელური შოვინიზმისაკენ.

ამხანაგებო! ამ წლების განმავლობაში ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ ეკონომიკის და კულტურის მშენებლობის ყველა დარგში, ჩვენ ბევრი მიღწევა გვაქვს, მაგრამ საჭიროა მტკიცედ დავიხსომოთ გენიალური სტალინის ბრძნული სიტყვები: „არ უნდა გავმედიდგურდეთ ამ წარმატებებთან დაკავშირებით. ყველაზე უფრო საშიშია, როცა დამშვიდებას ეძლევიან მიღწეულ წარმატებების გამო და ივიწყებენ დეფექტებს, ივიწყებენ შემდგომ მუშაობას".

არავითარი თვითკმაყოფილება, არავითარი მედიდურობა მიღწეული გამარჯვებების გამო. გაკეთებულია ბევრი რამ, მაგრამ მოგველის კიდევ უფრო დიდი მუშაობა, განსაკუთრებით მეორე ხუთწლედის — უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედის ამოცანების განხორციელებისათვის.

კაპიტალური დაბანდებანი ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეორე ხუთწლედში 5,1 მილიარდ მანეთს აღემატება, მაშინ როცა პირველ ხუთწლედში 2,2 მილიარდ მანეთს უდრიდა.

დასახული გეგმების შესრულება კიდევ უფრო ფართოდ გაშლის საწარმოო ძალებს, განამტკიცებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ადგილს, როგორც ნავთის [illegible] წარმოებების, ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების გადამწყვეტი რაიონის ადგილს.

ნავთის მრეწველობამ, სადაც ტექნიკური რეკონსტრუქცია შემდგომ განვითარებას ღებულობს, უკვე 1935 წელს უნდა მოგვცეს 22 მილიონი ტონა ნავთი, ნაცვლად 19 მილიონ ტონასი 1934 წელს.

ახალ გიგანტურ ზრდას ღებულობს ელექტრომშენებლობა. ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ყველა სადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მეორე ხუთწლედში 3,5-ჯერ იზრდება.

სპილენძის, სამთამადნო, ქვანახშირის, ქიმიური, მეტალურგიული და სამანქანათმშენებლო მრეწველობა, ალუმინის მრეწველობის შექმნა და სხვ., — ყველა ეს დარგი შემდგომ სწრაფ განვითარებას ღებულობს.

მეორე ხუთწლედში დასახულია და ხორციელდება ფართო მშენებლობა მსუბუქი მრეწველობის დარგში, სადაც საერთო დაბანდებები შეადგენს 379 მილიონ მანეთზე მეტს.

ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაშე მეორე ხუთწლედში დასახულია მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანები, დაკავშირებული ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების ფართოდ განვითარებასთან და მაღალღირებული პროდუქტიული მეცხოველეობის მაქსიმალურად განვითარებასთან. ამ საქმეს ჩვენ უნდა მივაქციოთ მთელი ჩვენი ყურადღება, უნდა გავაძლიეროთ სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ავამაღლოთ აგროტექნიკა, მივაღწიოთ მოსავლიანობის მკვეთრად გადიდება.

„ტექნიკა უადამიანოდ კვდარია", — გვასწავლის ამხ. სტალინი. ამიტომ, რაც შეიძლება მეტი ყურადღება ადამიანებს, სოციალიზმის ასობით, ათასობით და მილიონობით აქტიური მშენებლების აღზრდას, მათი შეგნების გარდაქმნას, მათ შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრას.

ასეთია ჩვენს წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

ამხანაგებო! საბჭოების მე-7 საკავშირო ყრილობას ამიერ-კავკასიის ფედერაცია ეგებება გამარჯვებულთა რიგებში. ამიერ-კავკასიის ფედერაცია გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე მხარედ, ვადამდე შეასრულა რა 1934 წლის გეგმები მთელ რიგ გადამწყვეტ დარგებში (ნავთი, ბამბა, ჩაი და სხვ.).

ამხანაგებო! მეორე ხუთწლედის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მშრომელნი შემჭიდროვებული მონოლიტური რიგებით, ამიერ-კავკასიის სახელოვანი ბოლშევიკური ორგანიზაციის და მისი ნაცად მეთაურის— ლავრენტი ბერიას მეთაურობით გასწევენ წინ ახალი გამარჯვებებისაკენ.

ჩვენ მივაღწევთ ახალ გამარჯვებებს, გადავაქცევთ ამიერ-კავკასიის ფედერაციას სოციალისტური აყვავების მხარედ — ჩვენი დიადი და მშვენიერი სამშობლოს ღირსეულ ნაწილად.

ეს გამარჯვებანი ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელთა ერთადერთი პასუხი იქნება იმ განსაკუთრებულ ყურადღებასა და დახმარებაზე, რომელსაც ჩვენ გვიწევს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი — დიდი სტალინი.

გაუმარჯოს დიდ სტალინს! (ტაში).

(დასასრული იხ. „კომუნისტი" № 17)

ა.-კ. საბჭოთა VII ყრილობა

კამათი ამხ. გ. მუსაბეკოვის მოხსენების გარშემო

ამხ ტერ-გაბრიელიანი

(სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე)

ამხანაგებო! ამ ყრილობაზე ჩვენ ვლაპარაკობთ არამარტო საბჭოთა კავშირში ჩვენი მეგობრების გასაგონად, არამარტო ჩაგრული ხალხების, არამედ ჩვენი მტრების გასაგონადაც. ჩვენ ვაჯამებთ ჩვენს გამარჯვებებს და ამავე დროს ვამჟღავნებთ ნაკლს თვითკრიტიკის საფუძველზე ვაჩაღებთ ჩვენ შემდგომ მშენებლობას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის დიდ წარმატებებზე აქ ლაპარაკობდენ ბაქოს პროლეტარები, რომლებმაც გაადიდეს ნავთის ამოღება. ამიერ-კავკასიის ფედერაცია წარმოადგენს საბჭოთა კავშირის განუყოფელ ნაწილს, რომელიც სულ უფრო და უფრო ჩქარი ტემპებით მიდის წინ, სამეურნეო-კულტურული აყვავების გზით.

ჩვენ გვაქვს საშუალება საერთო სამეურნეო ბაზაზე კიდევ უფრო მჭიდროდ დავაკავშიროთ ერთმანეთთან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები. ასეთია, მაგალითად ენერგეტიული ბაზა და რესპუბლიკათაშორისო საირიგაციო სისტემა. ჩვენი მდინარეების ძალა უდიდესია. ჩვენი ელექტრო-ენერგია იაფია, მშენებლობაც იაფი ჯდება.

რა უნდა გაკეთდეს ამ ენერგეტიულ ბაზაზე? როგორც ყოველთვის, ამ საკითხზედაც პასუხს გვაძლევს ჩვენი ეპოქის ბრძენი, გენიოსი ადამიანი ამხ. სტალინი. ის გვასწავლის, რომ ამიერ-კავკასიის ყველა მდინარე უნდა გამოვიყენოთ პირველ რიგში, მძიმე ქიმიის განსავითარებლად. ბელადის ეს მითითება ჩვენ დიდ ამოცანებს გვაკისრებს. მძიმე ქიმია საბჭოთა კავშირის მრეწველობის ერთერთი ძირითადი დარგია, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ერთერთი ბერკეტია. იაფი ენერგია, ქვანახშირი, კოქსი — წარმოადგენს ამ დარგის ნედლეულ ბაზას. ყველაფერი ეს ჩვენ ბევრი გვაქვს.

ჩვენი საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნილება შეიძლება დავაკმაყოფილოთ ამიერ-კავკასიის კაუჩუკით. ჩვენი ნავთი, ჩვენი მარგანეცი, მოლიბდენი და სხვ., ჯერ კიდევ სათანადოთ გამომჟღავნებული არ არის. ამ დიდ სიმდიდრეს, ჩვენი მდინარეების ძალას ჩვენ ვიყენებთ არამარტო მრეწველობის, არამედ სოფლის მეურნეობის განსავითარებლად. იგი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე ასეული ათასი ჰექტარების მოსარწყავად. საკმარისია გავიხსენოთ მუღანის და მილის ველები, მინგეჩაური და სარდარაბაზი, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა დიდი პერსპექტივები გვაქვს ჩვენ ამ მხრივ. სევანის ტბის არც ერთი წვეთი არ უნდა დაიკარგოს ტყუილა უბრალოდ. ეს ტბა წარმოადგენს იმ წყაროს, რომელსაც გამოვიყენებთ ენერგეტიულ თვალსაზრისითაც და მიწის ველის მოსარწყავადაც. ამ ტბის წყალი გამოყენებული იქნება ათეული ჰიდროსადგურებში, ის აამოძრავებს 8 მილიონ ცხენის ძალას იგი მორწყავს სარდარაბაზის ველს. 150 ათას დესეტინას მოვრწყავთ ჩვენ ამგვარად და სომხეთს გადავაქცევთ საბჭოთა კალიფორნიად. საჭიროა ხელი მოვკიდოთ

ამ პრობლემის გადაჭრას, რადგან მას უდიდესი სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ა.-კ. რესპუბლიკებისათვის.

ამიერ-კავკასიის მეურნეობაზე ლაპარაკის დროს შეიძლება გადავშალოთ ძალიან დიდი და ლამაზი პერსპექტიული სურათი. ამ მხრივ ჩვენი შესაძლებლობანი უდიდესია. ამასთან ყრილობის ყურადღებას მე მივაქცევ ორ საკითხს: პირველი — ჩვენი წყალთა რესურსების გამოყენება მძიმე ქიმიის შესაქმნელად, მინდვრების მოსარწყავად და მეორე — ჩვენი წიაღის გამოყენება ქვეყნის თავდაცვის განსამტკიცებლად.

ამხანაგებო! განადგურებული კონტრრევოლუციური პარტიების და ჯგუფების ნარჩენები, ნაძირალები ისევ ლესავენ დანას ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ამის არ გვეშინია.

ბაქოს პროლეტარიატის მეთაურობით რომელიც აღზარდა ლენინმა და სტალინმა, ამიერ-კავკასიის შემჭიდროვებული ხალხები, მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაცია საბჭოთა კავშირთან ერთად დიდი სტალინის ხელმძღვანელობით შეასრულებს ყველა ამოცანას. (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. გ. ყურულაშვილი

ჩვენი მიღწევები შედეგია ლენინურ-სტალინური ხელმძღვანელობის, რომელსაც ახორციელებს სამხარეო კომიტეტი ამხ. ლ. ბერიას მეთაურობით.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია საბჭოთა მე-7 ყრილობაზე მოდის უდიდესი გამარჯვებებით, პირველ რიგში აღსანიშნავია გამარჯვება ნავთის ფრონტზე, მაგრამ ნავთის გარდა, საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში საანგარიშო პერიოდში შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები, აშენდა ახალი ელექტროსადგურები და სხ.

მიუხედავად ამისა, ამიერ-კავკასია განიცდის ელექტროენერგიის სიმცირეს. მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე ბევრად მეტია, ვიდრე მას იძლევა ისეთი გიგანტები, როგორიცაა რიონჰესი, ზაჰესი, ძორაჰესი და სხვ., ეს გვიკარნახებს დავაჩქაროთ ბუნებრივი რესურსების შესწავლა დაწყებული ელექტროსადგურების (ხრამჰესი, ტერტერჰესი და სხვ). მშენებლობა.

1934 წელს ჩვენ გადაჭარბებით შევასრულეთ მარგანეცის მრეწველობის გეგმა, ჩვენს ქვეყანას მივეცით 850 ათასი ტონა მარგანეცი. 1935 წელს კიდევ უფრო დიდი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე ამ დარგში. წელს უნდა ამოვიღოთ 1.150.000 ტონა მარგანეცი. იმისათვის, რომ მარგანეცის მრეწველობამ შეასრულოს ეს ამოცანა, საჭიროა ამ მრეწველობის რეკონსტრუქცია, რაც მოითხოვს დიდი თანხის დაბანდებას და მოწყობილობას.

ჩვენი მიღწევაა ისიც, რომ ავაგეთ ფერომარგანეცის დიდი ქარხანა. რომელმაც 1934 წელს მოგვცა 12.000 ტონა ფერო-მარგანეცი, 1935 წელს ამ ქარხანაში უნდა ამუშავდეს კიდევ სამი ღუმელი საბჭოთა საქართველოში, ისე როგორც ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებში ახლად შეიქმნა აბრეშუმის ძაფსაღები და საქსოვი საწარმოები, აგებულია დიდი ფაბრიკები ტფილისში და ქუთაისში, შექმნილია ბამბის გადამამუშავებელი, სამკირვალო საწარმოები, შაქრის ქარხანა, კონსერვების მთელი რიგი ქარხნები და სხვ.

ამიერ კავკასია ხდება ინდუსტრიის ახალ კერად. ამიერკავკასიის მთელი რიგი ქალაქები, არამარტო ბაქო, ტფილისი და ერევანი, არამედ ბათომი, ქუთაისი, განჯა, ლენინაკანი ხდებიან ინდუსტრიალურ ქალაქებად.

ბევრი რამ გაკეთდა, აგრეთვე სამთამადნო მრეწველობის განვითარებისათვის, ჩვენ ავითვისეთ დღემდე ხელუხლებელი წიაღები ბარიტის, გუმბრის და სხ. სასარგებლო მადნეულის.

უკანასკნელ წლებში ორჯერ გაიზარდა ქვანახშირის ამოღება ტყიბულის მაღაროებში, მაგრამ ნახშირი ჩვენ მაინც არ გვყოფნის. ტყიბულის მაღაროებმა 1934 წელს ვერ შეასრულა გეგმა. მათ არც შეუძლიათ გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, თუ იქ სამუშაოთა სერიოზული რეკონსტრუქცია არ ჩატარდა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ტყიბულმა და ახლახან ამუშავებულმა ტყვარჩელმა დააკმაყოფილოს ამიერ-კავკასიის მოთხოვნილება ნახშირზე.

ამიერ კავკასიის მრეწველობას საერთოდ უდიდესი მიღწევები აქვს. მაგრამ მსუბუქი მრეწველობა ჯერ კიდევ ჩამორჩება, ამ დარგის მთელი რიგ საწარმოების მუშაობაში მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს ვხვდებით.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ 1936 წელს არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი წარმოება. თვითეულ წარმოებას ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ გეგმა შეასრულოს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მთელი რიგი წარმოებები ჯერ კიდევ არ მუშაობენ სრული დატვირთვით და მთლიანად არ იყენებენ რესურსებს.

ამხ. ყურულაშვილი ჩერდება პროდუქციის ხარისხის საკითხზე. თუ აქ, ამ თეატრში გამოფენილ პროდუქციას ნახავთ, — ამბობს იგი, — შენიშნავთ, რომ ხარისხი საუცხოოა, მაგრამ განა ასე მუშაობს ყველა ჩვენი წარმოება? არის ბევრი საწარმო, რომელიც ცუდი ხარისხის პროდუქციას უშვებს მიუხედავად იმისა, რომ 1934 წელს ჩვენ დიდი მუშაობა ჩავატარეთ ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ამ მხრივ ჯერ კიდევ არა გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ჩვენი ამოცანაა — 1935 წელს კიდევ უფრო გავამახვილოთ ყურადღება პროდუქციის ხარისხისადმი.

შემდეგ ამხ. ყურულაშვილი ჩერდება მშენებლობის საკითხზე. ამიერ კავკასიის რესპუბლიკები ყოველწლიურად დიდ თანხებს აბანდებენ მშენებლობაზე. მარტო საქართველოში გასულ წელს კაპიტალური მშენებლობისათვის დაბანდებულ იყო მთელ სახალხო მეურნეობაში 500 მილიონამდე მან. ეს უდიდესი მიღწევაა. მაგრამ, მიუხედავად ასეთი დიდი თანხის დაბანდებისა, მშენებლობაში ჩვენ გვაქვს მთელ რიგი ნაკლოვანებანი. ძირითადი ნაკლია მშენებლობის სიძვირე. ვაშენებთ დიდხანს და ზოგჯერ ცუდად. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ვაშენოთ უფრო კარგად, უფრო იაფად და უფრო ჩქარა.

ა.-კ. მშრომელები უდიდესი მიღწევებით მოდიან ამ ყრილობაზე როგორც მეურნეობის და კულტურის, ისე ხალხთა ძმური თანამშრომლობის დარგში. მომავალში კიდევ უფრო დიდ მიღწევებს მოიპოვებს იგი სამხარეო კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, დიადი სტალინის მეთაურობით. (ხანგრძლივი ტაში).

აკად. პისარჟევსკი

აკადემიკოსმა პისარჟევსკიმ მეცნიერებათა აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილების და ტფილისის ქიმიური ინსტიტუტის სახელით ყრილობას გადასცა მხურვალე სალამი.

— ჩვენი ინსტიტუტი ბედნიერია, — განაცხადა მან, რადგან ჩვენ შეგვიძლია ამიერ-კავკასიის საბჭოების ყრილობას ვუძღვნათ მოკლე დროის განმავლობაში შესრულებული 20-მდე მეცნიერული ნაშრომი. ზოგიერთი მათგანი უკვე ხორციელდება ქიმიურ მრეწველობაში. ასეთ მოკლე დროში (აპრილიდან იანვრამდე) ასეთი დიდი პროდუქციის მოცემა ინსტიტუტმა შესძლო თანამშრომელთა დამკვრელური მუშაობით და ამიერ-კავკასიის და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების და მთავრობის დიდი ყურადღებისა და დახმარების წყალობით.

ამხანაგებო! პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ჩვენი ქვეყნის მეცნიერებას უქმნის შემოქმედებითი მუშაობის დიდ შესაძლებლობას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩქარი ტემპით განვითარდა ჩვენი მეცნიერული აზრი, ლაბორატორიებიდან და კაბინეტებიდან იგი შეიჭრა ცხოვრების შუაგულში და მჭიდრო კავშირშია პრაქტიკასთან.

პროლეტარიატი დაინტერესებულია შეინარჩუნოს და განავითაროს ძველი მეცნიერული ცენტრები და შექმნას ახალი. სოციალიზმის მშენებლობის პროცესში მთელი რიგი ახალი საკითხები, ახალი პრობლემები წამოიჭრება რომლებიც მაღალკვალიფიკაციურმა მეცნიერულმა ძალებმა უნდა გადაჭრან. და აი, ქვეყანა იფარება სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელით.

პარტია და ხელისუფლება ითვალისწინებს მეცნიერების განვითარების აუცილებლობას და ყოველმხრივ ხელს უწყობს მეცნიერებას და მის მოღვაწეებს. ეს ცხადია პირადად ჩემს მაგალითზეც. სწორედ ოქტომბრის რევოლუციის წელს მე დავიწყე ციკლი ელექტრონული ქიმიის დარგში. მაშინვე (ეს იყო უკრაინაში) პარტიამ და ხელისუფლებამ მე გამიწია დიდი დახმარება, შესაძლებლობა მომცა ფართოდ განმევითარებია ეს საქმე და 1926 წელს უკრაინაში მომეწყო ახალი, ცენტრალური ქიმიური ინსტიტუტი. 1929 წელს მე მომიწვიეს ტფილისში, რომ აქაც მომეწყო ახალი, ელექტრონული ქიმიის მეორე ცენტრი.

ამჟამად ტფილისში არსებობს ქიმიური ინსტიტუტი, რომელიც მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს.

ჩვენ, ქიმიური მეცნიერების მოღვაწეებმა, დამკვრელური მუშაობით კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის ტექნიკური და კულტურული ძლიერება. ჩვენს ლაბორატორიებში, კაბინეტებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში ჩვენ უნდა ვიდგეთ ქვეყნის თავდაცვის სადარაჯოზე ისე, როგორც მის საზღვრებზე დგას ჩვენი მძლავრი წითელი არმია. ქიმიურ ფრონტზე ჩვენ უნდა განვახორციელოთ დიდი ბელადის — სტალინის მიერ ჩვენს წინაშე დაყენებული ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს ამხ. ბერიას მეთაურობით, რომელთაც მტკიცედ მივყევართ ახალი ცხოვრებისაკენ.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და დიდ ბელადს — ჩვენს სტალინს (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. სლუცკი

(ბაქო)

ნავთის მრეწველობის დარგში ბაქოს გმირული პროლეტარიატის წარმატებათა საფუძველზე ჩვენ დავეწიეთ და გავუსწარით ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანას. ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, ჩვენ დავიჭირეთ მსოფლიოში მეორე ადგილი ნავთის დარგში. ახლა ჩვენ შეგვიძლია მთელი მოწყობილობა ნავთის მრეწველობისათვის საბჭოთა კავშირში დავამზადოთ. 1930 წელს კი იგი საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა.

1935 წელს ჩვენ უნდა მივცეთ საბჭოთა ქვეყანას 22 მილიონი ტონა

ნავთი, [illegible] საჭიროა, უნდა გავაჩაღოთ საძიებელი სამუშაოები იმ ანგარიშით, რომ ძველი რაიონების შესაცვლელად მივიღოთ 3—5 ახალი რაიონი.

არანაკლები მიღწევები გვაქვს ჩვენ ნავთის გადამუშავების დარგში. აშენდა მთელი რიგი ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები. ამ მიზნით გასულ წელს დაბანდებულ იქნა 400 მილიონამდე მანეთი.

საბჭოთა ნავთი დიდ როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის ექსპორტში. ნავთით ჩვენ ვამარაგებთ მთელ რიგ ქვეყნებს, ჩვენ ვავიწროვებთ და ვდევნით ნავთის ბაზრიდან ისეთ ძლიერ კაპიტალისტურ ტრესტებს, როგორიც არის „სტანდარტ-ოილი“. ამით ჩვენ საბჭოთა დიპლომატიას ხელში ვაძლევთ მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ბასრ იარაღს.

ყოველდღიურად იზრდება ნავთის მნიშვნელობა ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. იზრდება ნავთის გამოყენება რკინის გზაზე, ავიაციაში, სოფლის მეურნეობაში. აი რატომ უნდა გავაძლიეროთ ჩვენ მუშაობა, და შევასრულოთ ნავთის ამოღების გადიდებული პროგრამა.

ჩვენი გამარჯვებანი ნავთის დარგში სწორი პარტიული ხელმძღვანელობის შედეგია. სამხარეო კომიტეტი და აზერბეიჯანის ცენტრალური კომიტეტი ჩვენ გვიწევდა ყოველდღიურ, ოპერატიულ ხელმძღვანელობას თვით წვრილმანი საკითხების გადაჭრაშიაც კი. ჩვენი წარმატებანი იმის შედეგია, რომ გაბედულად დავაწინაურეთ ახალი კადრები, ახალგაზრდა ინჟინრები (იზმაილოვი, დანელიანი და სხვ.), რომლებმაც, დაეუფლენ რა ტექნიკას, აამაღლეს ჩვენი საწარმოო კულტურა. ამასთან, გარდაიქმნა ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა, გაუმჯობესდა კადრების განაწილება, შემოღებულ იქნა ხელფასის პრემიალური სისტემა, რამაც უზრუნველჰყო ცუდი და კარგი მუშაკების ერთმანეთისაგან გარჩევა. ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალი გადავიყვანეთ წარმოებაში. ამან უზრუნველყო ჩვენი წარმატებანი.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით ამერიკას ხარისხობრივი მაჩვენებლების დარგში. წელს ჩვენ შევუდექით ნავთის გადამამუშავებელი ახალი ქარხნების მშენებლობას (50 პროცენტით უნდა გავადიდოთ ნავთის გადამუშავება). ჩვენ უნდა ვაშენოთ ეს ქარხნები სწრაფად და კარგად, ჩვენ უნდა მოვსპოთ დანაკარგები, მანქანების გაცდენა, ვისწავლოთ კულტურული მუშაობა. ასეთია ამოცანები. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით ჩვენ წარმატებით შევასრულებთ ამ ამოცანებს.

ამხ. გ. კასუმოვი

(აზერბეიჯანი)

ამხანაგებო! ჩვენ ვიცით თუ რას წარმოადგენდა ამიერ-კავკასია მეფის რეჟიმის დროს. ეს იყო კოლონია, სადაც ადგილობრივ ხალხთა არავითარი კულტურა არ არსებობდა. მეფის მთავრობამ სიტყვა „თურქის“ ხმარებაც კი აკრძალა. იგი ცდილობდა ერთმანეთისთვის წაესისინებია ამიერ-კავკასიის მშრომელები და საკუთარ სისხლში ჩაეხრჩო ისინი. ზოგჯერ თურქი ქართველს არ ენდობოდა, ქართველი სომეხს, სომეხი თურქს და ა. შ. სასწავლებლებში თურქებს იშვიათად შეხვდებოდით. 1904 წელს მე დავამთავრე ტფილისის გიმნაზია. 100 მოწაფიდან, რომლებმაც ჩემთან ერთად დაამთავრეს გიმნაზია, მხოლოდ ორი იყო თურქი.

მაშინდელ კულტურულ ფრონტს მეთაურობდენ სპეციალისტი კონტრაბანდისტები, რომლებიც მასწავლებლებს ყოველდღე ჩასჩიჩინებდენ „სარგებლიანი“ საქმის — კონტრაბანდისთვის მოეკიდათ ხელი.

თურქ ქალს, რომელიც გაბედავდა ევროპიულ ფეხსაცმელების ჩაცმას ბაქოს ქუჩებში შეურაცხობას აყენებდენ.

რა გვაქვს ჩვენ დღეს? მე უნდა გავიხსენო ერთი შემთხვევა. ამ ყრილობაზე გამომგზავრების წინ სადგურში ვუცდიდით მატარებელს. მე ყურს უგდებდი ორი თურქი ქალის ხალისიან საუბარს. შემდეგ, ჩემს შეკითხვებზე, ერთერთმა მათგანმა სიხარულით და სიამაყით მომითხრო მისი კოლმეურნეობის წარმატებაზე, იმაზე, რომ თვითეულ კოლმეურნეს იქ ჰყავს საკუთარი საქონელი, სოფელში გახსნილია შვიდწლედი. მე გაკვირვებული ვიყავი ამ ამბით. რადგან ამ სოფელში უწინ წიგნის ხსენებაც კი არ იყო. და მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ყველაფერი ეს ლენინ-სტალინის ბრძნული პოლიტიკის შედეგია.

აზერბეიჯანში თითქმის აღმოიფხვრა წერა-კითხვის უცოდინარობა. ეს ისეთი საძირკველია, რომელზედაც იგება სოციალისტური კულტურის ბრწყინვალე შენობა. მე დღეს სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ აზერბეიჯანს ყავს საკუთარი საბჭოთა ინტელიგენცია, რომლის რიგები ათასებით დაითვლება. თურქი ქალებით სავსეა სასწავლებლები.

შეიქმნა ახალი კადრები. ახლა ჩვენ ვხვდებით თურქ ქალს — ექიმს, აგრონომს, ტრაქტორისტს. თურქი ქალი ავიდა კათედრაზეც კი. აი სანამდე მივიდა ჩვენი კულტურა.

ეს მაგალითები ლაპარაკობს სოციალისტური კულტურის უდიდეს განვითარებაზე საბჭოთა აზერბეიჯანში. ამ განვითარების ხელსაყრელი პირობები შექმნა მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინ-სტალინის პარტიამ.

ამხ. კ. ქაცარავა

(ტფილისი)

ტფილისი, წინათ მეშჩანების და მოხელეების ქალაქი, გადაიქცა ინდუსტრიალურ ქალაქად. მას შემდეგ, რაც ამხ. ბერიამ მიგვითითა, გაიშალა მუშაობა ქალაქის რეკონსტრუქციისათვის.

მწვავე კლასობრივ ბრძოლებში გადახრების, ზინოვიევ-ტროცკისტული ოპოზიციის ნაძირალების წინააღმდეგ, ჩვენ მოვიპოვეთ ეს მიღწევები, როგორც სამეურნეო, ისე კულტურულ დარგში.

ჩვენ ვსპობთ წერა-კითხვის უცოდინარობას, ვახორციელებთ საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას დაწყებითი სკოლების, შვიდწლედის ფარგლებში, ჩვენ ვასრულებთ პარტიის პროგრამის იმ პუნქტს, რომელიც გვავალებს საყოველთაო სწავლებაში ჩავაბათ ახალგაზრდობა 18 წლამდე.

საბჭოთა ახალგაზრდობა უტევს მეცნიერების მწვერვალებს. განათლების დარგში ჩვენი ერთერთი უმთავრესი ამოცანაა სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. სკოლებში უნდა დავნერგოთ სოციალისტური კულტურა, ახალი თაობა ნამდვილად კულტურულად უნდა აღვზარდოთ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მასწავლებელი, რომელიც წარმოადგენს სკოლის უმთავრეს ფიგურას. უმთავრესად მასწავლებლისგან არის დამოკიდებული ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა; ამიტომ მასწავლებელთა მომზადების და განვითარების დონე უნდა ავამაღლოთ იქამდე, რომ მათ შესძლონ ამ საპატიო ამოცანის წარმატებით შესრულება.

უკანასკნელ ხანებში, ამხ. სტალინის ინიციატივით, მთელი სერიოზულობით დაისვა ჩვენი სკოლების სამეურნეო ბაზის გაფართოვების საკითხი, იმ ღონისძიებათა გატარებით, რომელიც ისახება ამ დარგში, ჩვენ მივაღწევთ შემდგომ გამარჯვებებს კულტურულ ფრონტზე.

კულტურული მშენებლობა საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში

საქ. საბჭოთა მე-7 ყრილობის რეზოლუცია

მიღებული ამხ. თათარიშვილის მოხსენების გამო

პარტიის გენერალური ხაზის გაწუხრელად გატარებით, მთელი თავისი მუშაობის აგებით ლენინ-სტალინურ ნაციონალური პოლიტიკის ურყევ საფუძველზე საბჭოთა საქართველომ, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ნაცუმცირესობათა რაიონებთან ერთად, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საგრძნობ წარმატებებს მიაღწია კულტურული მშენებლობის დარგში.

გადაჭრილია კულტურული რევოლუციის უმნიშვნელოვანესი ამოცანა — დაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლების სრული განხორციელება და უზრუნველყოფილია ყველა პირობა შვიდწლიანი საყოველთაო სავალდებულო სწავლების დამთავრებისათვის 1937 წელს; გადალახულია მემარჯვენე „მემარცხენე“ მიმდინარეობანი საბჭოთა პოლიტექნიკური სკოლის საკითხებში; შექმნილია სტაბილური პროგრამები და სახელმძღვანელოები; ამაღლდა მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინა; მიღწეულია საგრძნობი წარმატებანი მოზრდილი მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში; მოხდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ფართოდ გაიშალა მისი მუშაობა თავისი ექვსი სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტით, მოეწყო ქუთაისის, სოხუმის და სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტები საგრძნობლად გაიზარდა სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა ქსელი; მეტეხის ციხის ყოფილ შენობაში მოეწყო ხელოვნებათა მუზეუმი. მიღწეულია უდიდესი წარმატებანი, ქართულ, აგრეთვე აფხაზურ და ოსურ ენებზე მხატვრული ლიტერატურის გამოცემის დარგში. სოციალისტური მშენებლობის უდიდეს გაქანებასთან შეფარდებით, განუწყვეტლივ იზრდება და მტკიცდება თეატრალური ხელოვნება, მუსიკა, მხატვრობა, კინო და სხვა.

ამ მიღწევებთან ერთად ყრილობა აღნიშნავს, რომ კულტურული მშენებლობის დარგში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს: სუსტად არის გაშლილი მუშაობა სკოლის ასაკამდე აღზრდის დარგში; არამჭიდროთ დასახლებულ მთიან ადგილებში, აგრეთვე ზოგიერთ ნაცუმცირესობათა რაიონებში სავსებით არ არის განხორციელებული დაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლება ინტერნატების უქონლობისა და სათანადო კადრების ნაკლებობის გამო; სასკოლო მშენებლობა, ამ დარგში ჩატარებული დიდი მუშაობის მიუხედავად, ჩამორჩება მოსწავლეთა რიცხვის უდიდეს ზრდას, რის გამო სასწავლო მეცადინეობა ხდება ორცვლად ხოლო ალაგ-ალაგ სამ ცვლადაც. სწავლების და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც საბჭოთა სკოლას უყენებენ, მოსწავლეები ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან შეიარაღებული მეცნიერების საფუძვლების მტკიცე ცოდნით.

მთელ რიგ რაიონებში სათანადოდ ვერ აფასებენ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის უდიდეს მნიშვნელობას. ამხ. სტალინის მკაფიო მითითებების მიუხედავად, პედაგოგიური განათლება ჯერ კიდევ ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს. სტუდენტობის მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობები ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ დამაკმაყოფილებელი და არ გამხდარა საქალაქო საბჭოების და განათლების ორგანოების განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად. სახალხო განათლების ადგილობრივი განყოფილებანი ჯერ კიდევ არ არიან განმტკიცებული კვალიფიციური კადრებით.

ყრილობა ადგენს:

1 დაევალოს საქართველოს სახკომსაბჭოს დაამუშაოს და დაამტკიცოს ღონისძიებანი სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის განვითარების უზრუნველსაყოფად, ამასთან უზრუნველყოს საწარმოების, კოლმეურნეობების, საბინაო - სამეურნეო ამხანაგობების და კოოპერაციის ფართო მონაწილეობა ამ საქმეში. განსახკომმა, საქალაქო საბჭოებმა და რაიაღმასკომებმა უზრუნველყონ სკოლის ასაკამდე აღზრდის არსებული დაწესებულებანი სათანადო კადრებით, შესაფერი სადგომებით, მოწყობილობით და სასწავლო აღმზრდელობითი სახელმძღვანელოებით.

2 ყრილობა წინადადებას აძლევს საქალაქო საბჭოებს, რაიაღმასკომებს და სასოფლო საბჭოებს მოაწყონ სისტემატიური ხელმძღვანელობა და კონტროლი წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მთლიანად განხორციელებაზე, განსაკუთრებით ნაცუმცირესობათა რაიონებში; ამასთან, იმ პირთა მიმართ რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს თავისი უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციას, მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები. ყველა საბჭოთა და პროფესიულმა ორგანიზაციამ, საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და [illegible] უზრუნველყონ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მუშაობა სადგომებით, გათბობით, განათებით, ლიტერატურით იმ ანგარიშით, რომ მიღწეულ იქნას მოზრდილი მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია 1935 წელს.

3 მიღწეულ წარმატებათა შენარჩუნების და სკოლების სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი ზრდის მიზნით, ყრილობა საჭიროდ სცნობს: მიღწეულ იქნას სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის შემთხვევების სრული ლიკვიდაცია და პასუხისმგებლობა ამისათვის დაეკისროს საქალაქო საბჭოებს და რაიაღმასკომებს.

4 დაევალოს განსახკომს ბიუჯეტის ფარგლებში უზრუნველყოს თვითეული სკოლა სწავლის ნორმალური პირობებით (სადგომით, მოწყობილობით, სასწავლო ხელსაწყოებით და კვალიფიციური პედაგოგებით) და გაატაროს ღონისძიებანი ყველა სკოლის საჭირო სასწავლო საგნებით უზრუნველსაყოფად საბჭოთა საზოგადოებრიობის მონაწილეობის საფუძველზე დაუყოვნებლივ გაშალოს მუშაობა იმ მხრივ, რომ ფართოდ მოეწყოს სკოლის გარეში კოლმასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა შორის.

დაევალოს ყველა საქალაქო საბჭოს და რაიაღმასკომებს არა უგვიანეს ა-წ. მარტისა გამოუყონ სასოფლო და საქალაქო სკოლებს მიწის ნაკვეთები სასწავლო და დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად.

აღნიშნავს რა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას სოციალისტური მიწათმოქმედების კადრებით უზრუნველყოფის საქმეში, ყრილობა ავალებს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს პირადად ადევნონ თვალყური აღნიშნული სკოლების მუშაობას, ამასთან მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები სწავლების უკეთ ორგანიზაციისათვის და იმისათვის, რომ აღნიშნული სკოლების მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირდეს წამყვანი სასოფლო სამეურნეო კულტურების ამოცანებს.

განსახკომმა უზრუნველყოს რაიონები უშუალო ხელმძღვანელობით, რისთვისაც მიამაგროს რაიონებს მომზადებული მეთოდისტები და ორგანიზატორები, მოამარაგოს სკოლები და მასწავლებლები პედაგოგიური ლიტერატურით, ამასთან აღნიშნულ ღონისძიებათა გატარების დროს პირველ რიგში ყურადღება მიაქციოს ნაცუმცირესობათა რაიონების მომსახურებას.

5 სკოლების უზრუნველსაყოფად პედაგოგთა მომზადებული კადრებით, ყრილობა ავალებს სახკომსაბჭოს განსაკუთრებით განიხილოს საკითხი საქართველოში პედაგოგიური ინსტიტუტების და პედტექნიკუმების ქსელის გაფართოების შესახებ. განსახკომმა მიაღწიოს იმას, რომ სავსებით იქნას დაკმაყოფილებული ნაცუმცირესობათა რაიონების მოთხოვნილება პედაგოგიურ კადრებზე. ფართოდ გაშალოს დაუსწრებელი განათლების პრაქტიკა და მიზნად დაისახოს 1939 წლამდე უმაღლესი განათლება მიაღებინოს არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ყველა პედაგოგს. ამასთან ერთად სახელმწიფო უნივერსიტეტთან ასპირანტურის გაძლიერების გზით, ჩაატაროს ღონისძიებანი უმაღლეს პედაგოგიური სასწავლებლებისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომებმა და საქალაქო საბჭოებმა მიაღწიონ პედაგოგიური სასწავლებლების სტუდენტთა მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესებას, უზრუნველყონ პედაგოგიური სასწავლებლები საჭირო ლაბორატორიებით, სახელოსნოებით, სასწავლო სახელმძღვანელოებით და ლიტერატურით.

დაევალოს საქალაქო საბჭოებს და რაიაღმასკომებს დაუყოვნებლივ მოახდინონ მასწავლებელთა ხელფასის დავალიანების ლიკვიდაცია და მომავალში არ დაუშვან ხელფასის გაცემის დაგვიანება. საქართველოს სახკომსაბჭომ პასუხისმგებაში მისცეს ყველა ის პირი, რომლებიც დაუშვებენ მასწავლებელთა ხელფასის დავალიანებას.

6 სამეცნიერო საგამოკვლევო ინსტიტუტებმა კიდევ უფრო დაუკავშირონ თავისი მუშაობა სოციალისტური მშენებლობის ამოცანას. საქართველოს სახკომსაბჭომ დაამუშაოს ღონისძიებანი ქართული ლიტერატურის, ისტორიის, მუსიკის, მხატვრობის და არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების გამოკვლევისა და გამოცემისათვის. საქალაქო საბჭოებმა და რაიაღმასკომებმა უზრუნველყონ სიძველის ძეგლთა დაცვა. რესპუბლიკათა ცაკ-ებმა, საქალაქო საბჭოებმა და რაიაღმასკომებმა გაშალონ სამხარეთმცოდნეო მუშაობა.

7 ყრილობა აღნიშნავს საბიბლიოთეკო მუშაობის დიდ მნიშვნელობას და წინადადებას აძლევს განსახკომებს, საქალაქო საბჭოებს და რაიაღმასკომებს გაითვალისწინონ ბიუჯეტში სახსრები არსებულ ბიბლიოთეკების და ქოხსამკითხველოების განმტკიცებისა და მათი შემდგომი გაფართოებისათვის, განსაკუთრებით ნაცუმცირესობათა რაიონებში, ამასთან უზრუნველყონ ნაცუმცირესობათა ლიტერატურის შემოტანა მოკავშირე რესპუბლიკებიდან, აგრეთვე მისი გამოცემა ტფილისში. გააფართოვონ რაიონულ ბიბლიოთეკებში საბავშვო განყოფილებანი.

8 თეატრალური ხელოვნების შემდგომი ზრდის და გაუმჯობესების მიზნით, ყრილობა წინადადებას აძლევს სახკომსაბჭოს დაამუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თეატრებისა და კლუბების რაიონებში დაწყებული მშენებლობის დამთავრებას უმოკლეს ვადაში. წინადადება მიეცეს განსახკომებს განამტკიცონ სახალხო მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დამკვრელ მუსიკოსთა კოლექტივები. საჭიროდ სცნობს გაშალოს კინოთეატრების ქსელი დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

აძლევს რა უდიდეს მნიშვნელობას სახალხო შემოქმედებას ხელოვნების დარგში, ყრილობა ავალებს საქართველოს სახკომსაბჭოს დასახოს ღონისძიებანი ყველა სახის ფოლკლორის შეკრებისა და შესწავლისათვის.

9 სასკოლო მშენებლობის ჩამორჩენის ლიკვიდაციის და სკოლაში ორ-სამ ცვლად მეცადინეობის აღმოფხვრის მიზნით, ყრილობა წინადადებას აძლევს სახკომსაბჭოს დაამუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასკოლო მშენებლობის შემდგომ გაშლას და არსებულ სასკოლო შენობების რემონტს. ამას გარდა, საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილების შესასრულებლად, განსახკომს უნდა დაუბრუნდეს ყველა სასკოლო შენობა, რომლებიც უჭირავთ დარგობრივ უმაღლეს სასწავლებლებს, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებს, ტექნიკუმებს და სხვ. დაწესებულებებს.

ყრილობა ავალებს ცაკ-ს დასახოს ღონისძიებანი ტფილისში სტუდენტთა ქალაქის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ამასთან ყოველწლიურად გაითვალისწინოს სათანადო უმაღლეს სასწავლებლების და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების ბიუჯეტში საჭირო ასიგნობანი.

10 აღნიშნავს რა, რომ მასების კომუნისტური აღზრდა და მთელი კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესება წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, ყრილობა ავალებს ყველა საქალაქო საბჭოს, რაიაღმასკომებს და სახალხო განათლების ორგანოებს, უზრუნველყონ მშრომელი მასების შემდგომი აქტივობის ზრდა მეორე ხუთწლედის, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედის ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, კულტურული მშენებლობის დარგში.

◆

ერთა ლიგის საბჭოს სხდომა

მიძღვნილი გერმანიისათვის საარის დაბრუნების საკითხისადმი

ჟენევა, 18 იანვარი. გუშინ ერთა ლიგის საბჭოს საღამოს სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო გერმანიისათვის საარის დაბრუნების საკითხისადმი, გამოვიდნენ: ლავალი (საფრანგეთი), იდენი (ინგლისი), ლიტვინოვი, კომარნიცკი (პოლონეთი), მუნკე (დანია), ოსუსკი (ჩეხოსლოვაკია), და თურქეთის გარეშე საქმეთა მინისტრი რუშდი არას, რომელიც თავმჯდომარეობდა სხდომას.

ლავალმა განაცხადა, რომ ერთა ლიგის საბჭოს როლი არ ამოიწურება გერმანიისათვის საარის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანით. გადასაწყვეტია კიდევ ზოგიერთი მნიშვნელოვანი და რთული პრობლემა, რომლებიც დაკავშირებულია ოლქის [illegible] გერმანიისათვის პრაქტიკულად გადაცემასთან და ამ ოლქის ახლანდელი წყობილების ლიკვიდაციასთან. საფრანგეთი,—თქვა შემდეგ ლავალმა—არ დახურავს თავის საზღვრებს საარის ლტოლვილთათვის. მაგრამ იგი ფიქრობს, რომ ამ ლტოლვილთა საკითხს საერთაშორისო ხასიათი აქვს და მისი გადაწყვეტა ერთა ლიგის კომპეტენციას შეადგენს.

დასასრულ ლავალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთი შემდეგშიაც განაგრძობს თავის სამშვიდობო პოლიტიკას ერთა ლიგის ფარგლებში.

იდენის შემდეგ გამოვიდა ამხ. ლიტვინოვი.

დანარჩენი ორატორები დაკმაყოფილდნენ, გამოთქმით საარის პლებისციტის შედეგების გამო.

ამის შემდეგ ლიგის საბჭომ დაამტკიცა ალოიზის მიერ წარმოდგენილი „სამთა კომიტეტის" მოხსენება, რომელშიაც გათვალისწინებულია, რომ საარის ოლქი 1935 წლის 1 მარტს უნდა გადაეცეს გერმანიას. ამასთან ერთად ერთა ლიგის საბჭომ დაავალა—„სამთა კომიტეტს" გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობებთან და საარის ოლქის მთავრობის კომისიასთან ერთად გამოიმუშაოს საჭირო ღონისძიებანი, დაკავშირებული ოლქის ახლანდელ წყობილების ლიკვიდაციასთან. იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხის გამო არ იქნება მიღწეული შეთანხმება 1935 წლის 15 თებერვლამდე, კომიტეტმა თავისი მოსაზრებანი უნდა წარმოუდგინოს ლიგის საბჭოს, რომელიც მიიღებს საჭირო გადაწყვეტილებებს ვერსალის ხელშეკრულებასა და იმ სპეციალურ ვალდებულებებთან შეფარდებით რომლებიც იკისრეს ბერლინმა და პარიზმა პლებისციტთან დაკავშირებით (ადს).

ამხ. მ. მ. ლიტვინოვის გამოსვლა

ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე

ჟენევა, 18 იანვარი. იდენის შემდეგ გამოვიდა ამხ. მ. მ. ლიტვინოვი, რომელმაც თქვა:

„ლიგის საბჭოში საარის პრობლემების პირველად განხილვის დროს მე უკვე მქონდა შემთხვევა აღმენიშნა ჩემი მდგომარეობის თავისებურება, როგორც ისეთი ქვეყნის წარმომადგენლისა, რომელიც მოწოდებულია მონაწილეობა მიიღოს უმისოდ გაკვანძული დიდი ისტორიული მოქმედების კვანძის გახსნაში. ამიტომ მე შემიძლია თავისუფალი ვიყო ისეთი გრძნობებისაგან, რომლებიც შეიძლება განიცადონ საბჭოს სხვა წევრებმა, ვისაც წილი უდევს ჩემს მიერ აღნიშნულ მოქმედებაში მისი დასაწყისიდან.

მაგრამ მე განსაკუთრებულ კმაყოფილებას განვიცდი იმის გამო, რომ დღეს ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ შემთხვევა, როცა მარჯვედ იქნა გამოყენებული ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, რომელიც წარმოადგენს ჩემი მთავრობის საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. ამ პრინციპის გამოყენებისას მხედველობაში უნდა გვქონდეს უმთავრესად იმის განსაზღვრა, თუ რა ეროვნებას და სახელმწიფოს ეკუთვნის განსაზღვრული ტერიტორიის მოსახლეობის უმრავლესობა. ისტორიას უნდოდა, რომ მომხდარიყო საარის მოსახლეობის ეროვნების შემოწმება. ამ შემოწმებამ მოგვცა შედეგები, რომლებიც ბოლოს უღებენ ყოველგვარ ეჭვს, თუ ასეთი ეჭვი საარის პროვინციის ნაციონალური კუთვნილების შესახებ კიდეც არსებობდა. ერთა ლიგის საბჭოსაგან არ უნდა მოველოდეთ, რომ იგი მიღებული შედეგების დროს შეუდგება იმ საკითხის გამორკვევას, თუ საარელებმა რატომ და რა სუბიექტური მოსაზრებებით მისცეს ხმა. თუ, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, საარელებს შეიძლება ჰქონოდათ განსაკუთრებული მოსაზრებანი, რომელთაც სხვა გეზით აქვს მიმართული ვიდრე ნაციონალურ მოსაზრებებს, მაშინ მათ მიერ ამ მოსაზრებათა უკუგდება მხოლოდ გაადიდებს კენჭისყრის მნიშვნელობას წმინდა ნაციონალური თვალსაზრისით.

საარელების უდიდესმა უმრავლესობამ აშკარად თქვა, რომ მათ სურთ დარჩნენ გერმანელებად და ყველაფერში გაიზიარონ თავიანთ თანამემამულეთა ბედი და, ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა ის, ქედი მოვიხაროთ ამ გადაწყვეტილების წინაშე და მივულოცოთ გერმანიის ხალხს მის წიაღში საარელი შვილების დაბრუნება.

ჩემს კოლეგებთან ერთად მე განსაკუთრებით მივესალმები საარის პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტას მშვიდობიანობის პერსპექტივის თვალსაზრისით, რამდენადაც ეს მოვლენა თავიდან გვაშორებს მრავალთაგან ერთ-ერთ დაბრკოლებას მშვიდობიანობის უზრუნველყოფის გზაზე. ამასთან ერთად ჩვენ, სამწუხაროდ, უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს გზა ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის თავისუფალი ასეთი დაბრკოლებებისაგან, რომ, პირიქით, ეს დაბრკოლებანი ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი რჩება და რომ მათი თავიდან აცილებლად მშვიდობიანობის ყველა მომხრეს ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოუხდება. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მშვიდობიანობა—როდია მიმოფანტული და დაქსაქსული დედამიწის ან ევროპის სხვადასხვა ნაწილში, რომ საკმარისი არ არის შევაგროვოთ მისი ცალკეული ნატეხები და რომ მასთან არ შეიძლება მისვლა მიხვეულ-მოხვეული ან კერძო გზებით, რომლებიც გახსნილი იქნება ერთათვის და დახურული მეორეთათვის. მშვიდობიანობა განუყოფელია, და ყველა გზას მივყავართ ერთ დიდ ფართო შარაგზისკენ, რომელზაც ყველა ქვეყანა უნდა დაადგეს.

დროა ვაღიაროთ, რომ არ არსებობს უშიშროება მხოლოდ საკუთარ მშვიდობიანობასა და სიწყნარეში, თუ არ არის უზრუნველყოფილი მეზობლების, მახლობლების და შორეულების მშვიდობიანობა.

ჩვენ თვითონ არამარტო შეგნებული უნდა გვქონდეს ეს, არამედ ამასთან ერთად უნდა განვუმარტოთ იმათაც, რომლებსაც ლაპარაკობენ რა ზოგჯერ მშვიდობიანობაზე, თითონაც აქვთ და სურთ სხვებსაც თავზე მოახვიონ სრულიად შემცდარი წარმოდგენები მასზე. აუცილებლად საჭიროა აგრეთვე შეგნებული გვქონდეს და განვმარტოთ, რომ ამჟამად მშვიდობიანობა არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ამათუიმ სახელმწიფო მოღვაწის სუბიექტური შეხედულებებით და დეკლარაციებით. ჩვენ ცუდ სამსახურს გავუწევთ მშვიდობიანობას თუ ასეთი პაციფისტური დეკლარაციებით თავს მოვიტყუებთ. მშვიდობიანობა უნდა იქნას ორგანიზებული და შეიძლება იქნას ორგანიზებული კოლექტიურ ღონისძიებათა და კოლექტიურ მატერიალურ გარანტიათა შედეგად. თუ, როგორც მე იმედი მაქვს, 13 იანვრის ამბები, რომლებიც მოხდა საერთაშორისო ვალდებულებებთან სრული შეფარდებით და საერთაშორისო ორგანიზაციის სრული კეთილსინდისიერი ხელშეწყობის პირობებში, დაეხმარებიან ჩემ მიერ გამოთქმულ დებულებათა შთანერგვას ყველა ხალხის, ყველა სახელმწიფო მოღვაწის შეგნებაში, მაშინ, შეგვიძლია ჩვენს თავს ვუთხრათ, რომ დღეს ჩვენ მართლაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებას ვღებულობთ (ადს).

ამხ. ს. ეულის სიტყვა

საქართველოს საბჭოთა მე-7 ყრილობაზე კამათში ამხ. თათარიშვილის მოხსენების გარშემო

ამხანაგებო! ჩვენ აქ მოისმინეთ ამხ. თათარიშვილის ვრცელი და მდიდარი მოხსენება სწავლა-განათლების შესახებ.

მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო საკავშირო საბჭოთა მწერლების ყრილობაზე ქართულ მწერლების დელეგაციის გამოსვლის გარშემო. ამის შესახებ მე მივცემ სიტყვას ერთ ცნობილ რუს მწერალს ამხ. პავლენკოს, რომელიც ამხ. ლავრენტი ბერიას სწერს შემდეგს: „ყრილობაზე ქართველ მწერალთა გამოსვლას დიდი ინტერესით მოელოდნენ. უკრაინის საბჭოთა მწერლების თავმჯდომარემ ამხ. კულიკმა თავისი მოხსენება დაიწყო ქართული კლასიკური ლიტერატურის მიმოხილვით".

ამხ. ტოროშელიძის მოხსენება, როგორც აღნიშნა მ. გორკიმ და აგრეთვე ბუხარინმა, დანარჩენ მოხსენებებს შორის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა; ყველა უსმენდა ამხ. ტოროშელიძეს საათნახევარის განმავლობაში. ქართველი დელეგაციის აქტივობა ძრიად მაღალი იყო. ალექსეი მაქსიმეს ძესთან თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ რესპუბლიკების დელეგატები და ამხ. კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ჟდანოვი, მოლოტოვი, მიქოიანი, საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებს ყველა საკითხში მტკიცე პოზიცია ეჭირათ და მთელი საღამო ჩატარდა უკრაინის და საქართველოს ნიშნის ქვეშ".

უნდა შევეხო აგრეთვე მხატვრული ლიტერატურის სწავლების საკითხს სკოლებში. უდაოა, რომ ამ ხაზით განსახკომის მიერ ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ ბევრი კიდევ გასაკეთებელია; მთავარი რასაც განსახკომმა უნდა მიაქციოს ყურადღება, ეს არის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა შერჩევა.

მწერალთა კავშირში ცნობებია იმის შესახებ, რომ ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლები ქართულ ლიტერატურის ცოდნის მხრივ არ დგანან თავის სიმაღლეზე. მათი კვალიფიკაცია მოითხოვს ამაღლებას, განსაკუთრებით დღეს, როცა დიდი ყურადღება ექცევა კლასიკოსების შესწავლას.

საკითხი, რომელსაც აგრეთვე ვაყენებ მე ყრილობის წინაშე, ეს არის—მხატვრული ლიტერატურის გამოცემათა მდგომარეობა. თუ ლიტერატურა განსაკუთრებით ყრილობის შემდეგ გადახალისების რელსებზეა შემდგარი და მის წინაშე უდიდესი ამოცანებია წამოყენებული, ცხადია ამის სიხალისით ჩვენმა გამომცემლობამაც უნდა გადაახალისოს თავიანთი მუშაობა. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენს გამომცემლობებს—სახელგამს და „ფედერაციას" არ ჰქონდეს მიღწევები. მაგრამ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ მუშაობის გადახალისება ახალ მოთხოვნათა მიხედვით ამ გამომცემლობებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ მწერლისათვის ენა არის ერთადერთი იარაღი. და განა მარტო მწერლისათვის? ეს საკითხი [illegible] ქართული ენის სიწმინდის დაცვით არა მარტო მწერლები უნდა იყვნენ დაინტერესებული, არამედ ყველა. ჩვენი ხელისუფლება ამ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევს, საჭიროა მას დავეხმაროთ ქართულ ენის დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლაში. ზოგიერთი რაიონის გაზეთები ძალზე მოიკოჭლებენ ამ მხრივ, თუმცა ცენტრალურ გაზეთებშიც ვხვდებით ენის დამახინჯების ნიმუშებს. ქართული საბჭოთა მწერლობა გთხოვთ თქვენ ამხანაგებო, ამ გარემოებას მიაქციოთ ყურადღება.

მე ვათავებ ჩემს სიტყვას ჩვენი მოძმე ხალხის — სომხეთის ერთერთი ცნობილი პოეტის, აზატ ვშტუნის ლექსის მოკლე ნაწყვეტით, რომელიც ჩვენს შეხედულებას თანამედროვე ხელოვნებისა და პოეზიის დანიშნულებაზე ნათლად გამოთქვამს:

„ხედავთ დამკვრელთა სახეები როგორ ბრწყინავენ,
იყავ მათ რიგში ხელმძღვანელი და მოწინავე,
ჩემი კალამი, ხელოვნებავ იყავ გამკვეთი.
ბრძოლის დროის მზად მაქვს ჩემი სისხლის ყოველი წვეთი.
უშიშარ რწმენით შენ დაჰქმე მძლავრი კუთხეები
ლომ ვით მებრძოლმა დაამსხვრიე ყველა ხუნდები
მადნის სიღრმეში, ქარხანაში, ზღვაზე, ზღვის ქვეშით,
იყავ შრომის და გამარჯვების შენ გამომწვევი.
იყავ მარადის გაბედული, იყავ ვით ბრძმედი,
იყოს ფხიზელი და წამყვანი სიტყვა შენი.
ბოლშევიკური ხელოვნებავ, ჩემო კალამო
შენ გიკუთვნოდეს ანთებული ყოველი წამი (ხანგრძლივი ტაში).

ჰიტლერი მოითხოვს ვერსალის ხელშეკრულების ლიკვიდაციას

პარიზი, 17 იანვარი. „პარიზიენის" კორესპონდენტთან საუბარში ჰიტლერმა განაცხადა, „მას შემდეგ, რაც საფრანგეთი აღიარებს დიდი სახელმწიფოების ყველა უფლებათა თანასწორობას, მე მზად ვარ ხელი ავიღო მისი ოლქების მიმართ ყოველგვარ ტერიტორიალურ მოთხოვნებზე. აუცილებელია ბოლო მოეღოს ვერსალის ხელშეკრულებას. დაბოლოს, უკუგდებული უნდა იქნეს ეს დიპლომატიური აქტი, რომელსაც არ ძალუძს უზრუნველყოს მშვიდობიანობა მსოფლიოსათვის".

შეეხო რა საარის პლებისციტის შედეგებს, ჰიტლერი კვლავ დაუბრუნდა ვერსალის ხელშეკრულებას და განაცხადა, რომ „ეს საუცხოო გამარჯვება წარმოადგენს ვერსალის ლოგიკურ გაკიცხვას... მე ხშირად ვაცხადებდი, რომ საარის დაბრუნების შემდეგ ჩვენსა და საფრანგეთს შორის არ იქნება არავითარი ტერიტორიალური დავა საღი მოფიქრების შემდეგ მე ვიმეორებ ამ განცხადებას მთელი მსოფლიოს წინაშე და ამ განცხადებას ვაკეთებ არა მარტო ჩემი სახელით, არამედ გერმანიის ხალხის სახელით" (ადს).

ფაშისტური გერმანიის ანტისაბჭოთა ზრახვები

რომი, 16 იანვარი. „ჯორნალე დ'იტალია", ჩამოთვლის რა ჰიტლერის მთელ რიგ ნაბიჯებს გერმანიისა და საფრანგეთს შორის უშუალო შეთანხმების მისაღწევად, აცხადებს:

„ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ გერმანიის ერთერთმა წარჩინებულმა პირმა, რომელსაც ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის დროს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია, 1933 წლის ზაფხულს წინადადება მისცა საფრანგეთს — დაედოთ კავშირი ს.ს.რ. კავშირის წინააღმდეგ. ანტისაბჭოთა კავშირის ეს იდეა წინათ პაპენს ეკუთვნოდა". (ადს).

◆◆

იტალია-აბისინიის კონფლიქტი

ჟენევა, 17 იანვარი. ერთა ლიგისადმი მიმართულ ნოტაში აბისინიის მთავრობა მოითხოვს, რომ იტალია-აბისინიის კონფლიქტი შეტანილ იქნას საბჭოს სესიის დღის წესრიგში. (ადს).

სსრ. კავშირის პროლეტარები ერთხმად იწონებენ უზენაეს სასამართლოს განაჩენს ზინოვიეველთა კონტრრევოლუციური ჯგუფის საქმეზე

მოსკოვი

მოსკოვი 18 იანვარი. ფრუნზეს სახელობის ქარხნის ყველა საამქროში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებზედაც მუშები იხილავდენ ს. ს. რ. კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენს ზინოვიეველთა არალეგალური კონტრრევოლუციური ჯგუფების საქმეზე.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციებში მუშები სიხარულით იწონებდნენ სასამართლოს განაჩენს და აცხადებდნენ: **„ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს პროლეტარულ მთავრობას მომავალშიაც მკაცრად გაუსწორდეს** პროლეტარიატის ყველა მტერს. ზინოვიეველთა კონტრრევოლუციური ჯგუფის ნაძირალთა და მათი სულის ჩამდგმელთა გამოლაშქრების საპასუხოდ ჩვენ უფრო მეტად გავაძლიერებთ ჩვენს სიფხიზლეს, კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით ჩვენი ლენინური პარტიის და საყვარელი ბელადის — ამხ სტალინის ირგვლივ".

ფაბრიკა „პარიზის კომუნის" კოლექტივი ესალმება პროლეტარული სასამართლოს განაჩენს ზინოვიეველთა კონტრრევოლუციური ჯგუფის საქმეზე (ადს).

ტფილისი

საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენი ზინოვიევის, ევდოკიმოვის, გერტიკის და სხვათა საქმეზე ტფილისის მსხვილი საწარმოების პროლეტარებმა ერთხმად მოიწონეს თავიანთ მრავალ მიტინგებზე.

ორთაჭალების დეპოს სახარატო საამქროს მუშებმა განაცხადეს: პროლეტარიატის მტრები მიიღებენ დამსახურებულ სასჯელს. მაგრამ ჩვენ ამით არ შეგვიძლია დამშვიდებულ ვიყოთ. [illegible] კიდევ უფრო გავაძლიერებთ ჩვენს სიფხიზლეს და ისე წარვმართავთ მას, რათა ყოველთვის და თავის დროზე ვამხილოთ, დავარტყათ და გავანადგუროთ ყველა, ვინც შეეცდება ხელი აღმართოს პარტიის წინააღმდეგ".

ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშათა დიდ მიტინგზე მუშამ ამხ. დობინსკიმ განაცხადა: „უზენაეს სასამართლოს განაჩენი—ეს არის მძლავრი პროლეტარული პასუხი ზინოვიევის, კამენევის და სხვათა მოსკოვის კონტრრევოლუციური ჯგუფის უხამს და საზიზღარ საქმიანობაზე. ჩვენი პარტიის მისი ცენტრალური კომიტეტის და მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით იმედიანად განვაგრძობთ ჩვენს გზას და გავსწევთ ახალ გამარჯვებებისაკენ".

ზინოვიევის, კამენევის და სხვების კონტრრევოლუციური მუშაობის საპასუხოდ ვაგონების შემკეთებელი ქარხნის დამკვრელებმა ამხ. **ტაბატაძემ, ალახაძემ, თევზაძემ, ქვრივიშვილმა, მურადაშვილმა** და სხვებმა განაცხადეს, რომ მათ სურთ თანამგრძნობთა [illegible] შესვლა. მათ განცხადებას მიტინგი მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

ტფილისის სარკინიგზო კვანძის 12 ათასი მუშისაგან შემდგარმა კოლექტივმა მოკლე და სხარტულ რეზოლუციებში ერთსულოვნად მოიწონა უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენი და პირობა დასდო, რომ მთელ ძალღონეს მოიკრებს ახალი გამარჯვებების მისაღწევად მარქს - ლენინ - სტალინის დროშის ქვეშ „26"-ის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნების, ფეხსაცმელების ფაბრიკა № 1-ის, მკერავი №2-ის, სატრიკოტაჟო, საკანდიტრო ფაბრიკის, სახკინმრეწვის და სხვა ფაბრიკა ქარხნების მუშებმა თავიანთ მიტინგებზე სავსებით და მთლიანად მოიწონეს უზენაეს სასამართლოს განაჩენი ზინოვიეველთა კონტრრევოლუციური ჯგუფის საქმეზე. (ადს)

მიწისძვრა აფხაზეთსა და აჭარისტანში

სოხუმი, 19 იანვარი. 19 იანვარს, დილის 4 ს. და 40 წუთზე, აფხაზეთში, — სოხუმის, გუდაუთის და ოჩემჩირის რაიონებში საგრძნობი იყო ძლიერი მიწის ქვეშა ბიძგები. ბიძგების ძალა უდრიდა 4-დან 5-მდე ბალს. (ადს).

ბათუმი, 19 იანვარი. 4 საათსა და 55 წუთზე ადგილობრივი დროით ბათუმში შესამჩნევი იყო ორი მიწისძვრის ბიძგი. პირველი ბიძგი სამი ბალის სიძლიერით გაგრძელდა ნახევარ წუთს, ხოლო მეორე, გაცილებით უფრო სუსტი, საგრძნობი იყო რამდენიმე წამის შემდეგ პირველი ბიძგიდან.

პირველი ბიძგი ისეთი ძლიერი იყო, რომ შენობებისა და ავეჯის რყევისაგან მოსახლეობის ნაწილს გაეღვიძა.

ფოთში, სამტრედია, ქობულეთში და ქ. მახარაძეში მოხდა ასეთივე ძალის მიწისძვრა (ადს).

მუსიკოს შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი

თებერვლის შუა რიცხვებში ლენინგრადში დაიწყება მუსიკოს შემსრულებელთა სრულიად საკავშირო კონკურსი. ადგილებზე წინასწარი ტარდება მოსამზადებელი მუშაობა. საქართველოდან გასაგზავნ კანდიდატების შესარჩევად, დღეს საღამოს 8 საათზე, ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში იწყება სრულიად საქართველოს მუსიკოს შემსრულებელთა კონკურსი. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მომღერლები, პიანისტები და ინსტრუმენტალისტები.

კონკურსი გაგრძელდება 19 და 20 იანვარს.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის პარტორგანიზაციების ისტორიის სექცია, 9 იანვრის 30 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, 21 იანვარს, საღამოს 7 საათზე, აწყობს მოხსენებას თემაზე: **„9 იანვარი და რევოლუციის დასაწყისი ამიერ-კავკასიაში".** მომხსენებელი ამხ **მელიქოვი.** შესვლა თავისუფალია. კრება შესდგება ფილიალის დარბაზში, ლენინის ქ., № 16.

განაჩენი № 72, 88 მატარებლების მარცხის საქმეზე

ტიხორეცკაია, 18 იანვარი. 17 იანვარს ჩრდილოეთ-კავკასიის რკინისგზის სახაზო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ № 72 და 88 მატარებლების მარცხის საქმეზე გამოარკვია რა დანაშაულებრივი უთაურობა, მატარებლების მოძრაობის არსებული წესების უგულებელყოფა, აგრეთვე ბრალდებულთა დანაშაული, მიუსაჯა გუსევს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. შიტკინს — თავისუფლების აღკვეთა ათი წლით; იგნატიევს — 7 წლით; ტონკის — 6 წლით, მარახოვსკის — 5 წლით, ტიმოფეევს — 4 წლით, გონჩარენკოს და კალაშნიკოვს — 3 წლით თვითეულს და იუზინს — 2 წლით. ტიუტიუნიკოვი სასამართლომ გაამართლა.

ტიხორეცკაიას კვანძის რკინისგზელები ერთსულოვნად მიესალმნენ სასამართლოს განაჩენს.

◆

ლიტქრონიკა

— იანვრის არდადეგებთან დაკავშირებით მარჯანიშვილის სახ. თეატრში იანვრის ბოლომდე გაიმართება მოწაფეთათვის დილის წარმოდგენები. პირველი ასეთი წარმოდგენა ეწყობა დღეს 12 საათზე. წარმოდგენილი იქნება **„მზის დაბნელება საქართველოში".**

— 21 იანვარს დილის 11 საათზე მწერალთა სახლში შესდგება დრამსექციის საწარმოო შემოქმედებითი წრის მესამე სხდომა. დღის წესრიგში: დრამატურგ გერცელ ბაზოვის პრემირებულ პიესის „განუყრელად პიროვნებისა"-ს წაკითხვა და კამათი პიესის ირგვლივ.

— 21 იანვარს საღ. 8 ს. მწერალთა სასახლეში საქ. საბჭოთა მწერლების კავშირი აწყობს ამხ. ლევან ასათიანის მოხსენებას „პოეტი ქალები". შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

* * *

გამოხმაურება

„კომუნისტის" 1934 წ. 11 დეკემბ. №-ში მოთავსებულ წერილში სათაურით: „სატყეო სამრეწველო მეურნეობებს მტკიცე ხელმძღვანელობა", აღნიშნული იყო, რომ ქვემო-სვანეთის ტყის დ. ცურების ხელმძღვანელად იყო ამხ. ჯალამძე და გაფლანგულია 575.000 მან. ღირებული ხე-ტყე. საქ. კ.პ. (ბ) ც. კ. არსებულ პარტსაბჭოთა კონტროლის ჯგუფის გამორკვევით დადასტურდა, რომ ამხ. ჯალამძე იყო არა დაცურების, არამედ ქვემო-სვანეთის სატყეო სამრეწველო მეურნეობის ხელმძღვანელად. გაფლანგვა მართლაც ჩადენილია დაცურების დარგში, რაზედაც დამნაშავენი მიცემულნი არიან პასუხისგებაში.

◆

პარტკალენდარი

— 20 იანვარს, საღამოს 7 საათზე, ტრამვაელების კლუბში შესდგება სტალინის რაიონის პროპაგანდისტთა, მამასახლისების და პარტგანათლების ქსელის მსმენელთა რაიონული კონფერენცია. კონფერენციაზე დასწრება შეიძლება მხოლოდ მანდატებით. მანდატები გაიცემა ძირეულ პარტორგანიზაციებში.

— საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკოლეგია წინადადებას აძლევს ამხ. ალექსანდრე კალანდაძეს, ნესტორ ყიფშიძეს, მიხეილ მეძღვაძეს, ალექსანდრე ზამთარაძეს, ა. რუხაძეს (საგარეჯოს რაიონის ყოფ. მოსამართლე), სოფიო უგუზაროვს, სამი დღის განმავლობაში გამოცხადნენ ც. კ-ის შენობაში, (მე-3 სართული, ოთახი № 36) ამხ. ბილიხოძესთან. გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე განხილული იქნება მათ დაუსწრებლად.

[illegible]

20 იანვარს 1 აბონ. 6 წარმ. გედების ტბა	21 იანვარს 4 აბონ. 6 წარ. ჩიო-ჩიო-სან (ქ-ნი ბ ტერფელი) 22 იანვარს წარმოდგ. არ არის.	23 იანვარს 5 აბონ. 6 წარმ. ტრავიატა

24 იანვარს. უკანასკნელად აბონემენტის გარეშე
სამსონ და დალილა.
ის აბონენტები რომლებსაც არ აქვთ შეტანილი მე-7 გადასახდელი ყველა აბონემენტზე წარმოდგენებზე არ დაიშვებიან. ხოლო მათი ადგილები გაიყიდება. გადასახდელის მიღება და ბილეთების გაყიდვა წარმოებს ყოველ დღე, დილით 11—2 ს. და საღ. 4—9 ს. ბავშვები და მოწაფეები 17 წლამდე თეატრში არ დაიშვებიან. წარმ. დასაწყ. საღ. სრ 8 ს.

[illegible]

20 იანვარს 13 აბონ. 4 წარ. ინტერვენცია	21 იანვარს 16 აბონ. 4 წარ. ინტერვენცია	22 იანვარს 9 აბ. 4 წარ მაისტერ

თებერვლის და მარტის თვის მუდმივი ბილეთების ტალონები დარიგდება 25 იანვრიდან თეატრის ბუღალტერიაში დილის 9-6 ს. 4 საათამდე. ადგილების [illegible] წარმომადგენლები სათან. მინდობილობით. ეხუთე გადასახადი სავალდებულოა შემოტანილი უნდა იქნას თეატრის სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

[illegible]

20 იანვარს აბონ. № 3 მე-4 წარმ.	წარმოდგენა № 64 ურიელ აკოსტა
21 იანვარს აბონ. № 2 მე 4 წარმ.	წარმოდგენა № 65 ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ!

აბონენტთათვის სავალდებულოა ეხუთე გადასახადი სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

გამოვ. და ჟურნ.
„ბოლშევიკი" № 12
შინაარსი:

ს. მ. კიროვის შესახებ.
ს. მ. კიროვი—შეურიგებელი ბრძოლაში ლენინიზმისათვის და ამიერ-კავკასიის ფედერაციის ავანგარდში—ახალ გამარჯვებებისაკენ; რევოლუციური სიფხიზლე ჩვენი პირველი მცნებაა! (მოწინავე);
ა. [illegible]—1934 სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები—ჩვენი წარმატებების მაჩვენებელია (მოხსენება საქ. კ პ. (ბ) ც კ დეკემბრის პლენუმზე);
ა. ორაგველიძე—პარტსწავლების შესახებ საქართველოში;
ი. რუბენსი—ჰიტლერის გერმანიის სამეურნეო „მიღწევები".

რაიონული პრესა
ა. ალიბეგაშვილი—რაიონული გაზეთების მიმოხილვა.

პროპაგანდისტის კუთხე
შ. მგალობლიშვილი — ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლის შესახებ (კითხვა-პასუხი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
[illegible]—ი. სტალინი—„საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ".

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებანი.

ოქტომბერი 6, 7-30, 9, 10-30	ხმოვანი ფილმი სამი სიმღერა ლენინზე დღისით 12 ს და 1 ს. 30 წ. სეანსები მოწაფეებისათვის.
დამკვრელი 5-30, 8, 9-30, 11	მხატვრული ფილმი „უკრაინფილმის" ნაწარმოები სპარტაკი (გლადიატორების ბელადი)
ტემპი 6-30. 8, 9-30. 11	დადგმის მე-2 კვირა მხატვრ. ფილმი მთვარე მარცხნივ
რ. ლუქსემბურგის სახ. 5-30. 7-30. 9-10. 11	დადგმის მე-7 კვირა ხმოვანი ფილმი ჩაპაევი დღისით მოწაფ.—დაგლეჯ. ფეხსაცმელი
„26"-ის კომ სახ. 6, 7-30. 9. 10-30	მხატვრული ფილმი ტყის ამბავი დღისით პროგრამა მოწაფეებისათვის

დღის 12 საათიდან 2 საათ მდე, საღ. 6 დან 8-დე „ოქტომბერი", „ტემპი", „26 კომ სახ" კინო-თეატრებში [illegible] სკოლებიდან დღის სეანსებზე არდადეგების განმავლობაში.

ექიმი
ი. ჭეიშვილი
სიფილისი. ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, დ. საღამო. 6½—8½ საათ. [illegible] კამოს ქუჩა № 72 ([illegible]) საავადმყ. პირდაპირ

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი [illegible] მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილის 10—12-დე და საღამოთი 6—8-დე. ნინოშვილის ქუჩა (ყოფ. ალექსანდროვის) № 5 ფაბრიკა მკერავის პირდაპირ. 25—1

[illegible]
სიფილისი კანის და ვენერიული სნეულებანი, შესხმა „914" სისხლში და მისი გართულებათა მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება 6—8 ს. კალიაევის ქ. № 10 (ყ. ციციანოვის).

ექიმი
შ. ნ. [illegible]
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილ. 10—12-მდე, საღ 5½-8-მდე. ნინოშვილის ქ. № 5 (ყ. ალექსანდროვის) ფაბრიკა „მკერავი"-ს პირდაპირ. 56 5 5-1

ექიმი
ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე სასქესო, სიფილისი და კანისა. დილ. 9—12 ს. საღ. 6—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი პლეხანოვის შესახვევი № 8 სასტუმრო „ევროპა"-ს ყოფ „ნოე"-ს გადასწვრივ 414 10-1

რუსთაველის თეატრი
სანდრო ახმეტელის
ხელმძღვანელობით
1934—35 წლ. სეზონი.

ზამთრის არდადეგების წარმოდგენები ტფილ. მოსწავლეთათვის
დილის 12 საათზე
საშუალო სასწავლებელთათვის
24 იანვარს—ნაბიჭვარი
30 იანვარს—დუშმანი
არა საშუალო სკოლებისათვის ნაწილი ბილეთებისა გაიყიდება თეატრის სალაროში.
ბილეთების ღირებ. 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.
სალარო ღიაა 11—2, 6—9. ბ. 22

ტფილისის საბჭოს საფინგანი აცხადებს:

1) სახ. მფლობელთა და სახ. მმართველობათა საყურადღებოდ, რომ საშემოსავლო გადასახადის დებულების თანახმად სახლის სიების ფორმა № 1-ლის სათანადო რაიფინგანებში წარდგენის ვადა გავიდა 10 იანვარს.

2) საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოდ, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც მიღებული აქვთ გონორარი საავტორო და სხვა ხელშეკრულებათა საფუძველზედ, რომ 1934 წელში მიღებული შემოსავლის შესახებ დეკლარაციების (განცხადებების) რაიფინგანებში წარდგენის ვადა 15 იანვარს.

ამიტომ წინადადება ეძლევათ ყველას, ვისაც აღნიშნული ცნობები დღემდე არ წარმოუდგენია, არა უგვიანეს 31 იანვრისა წარუდგინონ ასეთები სათანადო რაიფინგანებს. აღნიშნული ვადის შემდეგ დამნაშავენი ცნობების ვადაგადაცილებით, ან სრულიად წარმოუდგენლობისათვის დაჯარიმებულნი იქნებიან საშემოსავლო გადასახადის დებულებით გათვალისწინებულ მაქსიმალური რაოდენობით.

ფორმა № 1-ლის და დეკლარაციების ბლანკები გაიცემა რაიფინგანებში. ბ. 18

საქართველოს ფინსახკომი

აუწყებს ყველა საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომ თანახმად სსრ. კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წ. 14 იანვრის დადგენილებისა, მიმდინარე წლის 1-ლ იანვრიდან შემოღებულია ახალი წესები მუშა მოსამსახურეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა საშემოსავლო გადასახადისა და კულტგამოსალებით დასაბეგრავად.

დაუბეგრავი მინიმუმი საშემოსავლო გადასახადში და კულტგამოსალებში მთელს რესპუბლიკაში დაწესებულია მუშა-მოსამსახურეებთათვის 140 მან., ხოლო მოსწავლეთათვის, რომლებიც სტიპენდიას იღებენ—200 მან როგორც გადასახადი, ისე გამოსალები გამოიანგარიშება ნაშოვარის მთელი თანხიდან პურის საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით მომატების ჩათვლით. კულტგამოსალების დაკავება ხდება თვიური ხელფასის პირველი ნახევრის გაცემის დროს, ხოლო საშემოსავლო გადასახადისა მეორე ნახევრის გაცემის დროს მიმდინარე წლის იანვრისათვის ხელფასის პირველი ნახევრის გაცემის დროს წინადადება ეძლევა უზრუნველყოფილი იქნეს კულტგამოსალების პირველი შესატანის დაკავება, რომელიც გამოანგარიშებული უნდა იქნეს დეკემბრის ხელფასის მიხედვით ახალი განაკვეთებით. კატეგორიულად აკრძალულია კულტგამოსალებისა და საშემოსავლო გადასახადის ერთ და იმავე დროს დაკავება.

ქვემოთ მოყვანილია ახალი შემცირებული თვიური განაკვეთები საშემოსავლო გადასახადისა და კულტგამოსალებისა;

თვიური ნაშოვარი	გამოანგარიშებული თანხა			
	საშემოსავლო გადასახადისა		კულტგამოსალებისა	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
141 მ. 145-მ-მდე	—	90	1	10
146—150	—	95	1	25
151—155	1	—	1	40
156—160	1	10	1	55
161—165	1	20	1	60
166—170	1	30	1	70
171—175	1	40	2	—
176—180	1	50	2	30
181—185	1	60	2	60
186—190	1	70	2	70
191—195	1	80	3	—
196—200	1	90	3	20
201—205	2	—	3	40
206—210	2	10	3	50
211—215	2	25	3	60
216—220	2	40	3	70
221—225	2	55	3	80
226—230	2	70	3	90
231—235	2	85	4	40
236—240	3	—	4	70
241—245	3	15	5	—
246—250	3	30	5	30
251 მ. 255 მ.	3	45	5	50
256—260	3	60	5	60
261—265	3	80	5	75
266—270	3	90	5	90
271—275	4	15	6	—
276—280	4	20	6	10
281—285	4	40	6	25
286—290	4	60	6	40
291—295	4	80	6	50
296—300	5	—	6	65
301—310	5	15	6	75
311—320	5	50	7	—
321—330	5	80	7	25
331—340	6	20	7	50
341—350	6	60	7	75
351—360	7	—	8	—
361—370	7	50	8	25
371—380	8	—	8	50
381—390	8	50	8	75
391—400	9	—	9	—
401—410	9	45	9	[illegible]
411 მ. 420 მ.	9	90	9	50
421—430	10	40	9	75
431—440	10	90	10	—
441—450	11	50	10	20
451—460	12	—	10	50
461—470	12	60	10	70
471—480	13	30	11	—
481—490	13	90	11	20
491—500	14	50	11	50
501—510	15	20	11	70
511—520	15	90	12	—
521—530	16	55	12	20
531—540	17	50	13	10
541—550	17	80	14	—
551—560	18	20	15	—
561—570	18	50	15	90
571—580	18	90	16	20
581—590	19	20	16	50
591—600	19	60	16	75
600 მ. ზევით	3,3%		2,8%	

იმ შემთხვევაში, როდესაც დაბეგვრას ექვემდებარება 140 მანეთზე ნაკლები თანხა (მაგალითად, შეთავსებით მუშაობის ხელფასი, შრომითი ხელშეკრულების გარეშე არამუდმივ მომუშავეთა ნაშოვარი, საავტორო ხელშეკრულებების დაუდებლად სალიტერატურო მუშაობისათვის მიღებული თანხა და სხვ.), საშემოსავლო გადასახადი გამოიანგარიშება 0,4%, ხოლო კულტგამოსალები—0,6% განაკვეთის მიხედვით.

იმ პირთათვის, რომლებიც იბეგრებიან თვიური შენაწერებით, საშემოსავლო გადასახადში და კულტგამოსალებში ძალაში რჩება სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1934 წ. 17 მაისის საქ. და სახკომსაბჭოს 1934 წ. 7 თებერვლის დადგენილებებში გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები.

მუშა-მოსამსახურეთა გადაბეგვრის შემთხვევებს ასაცილებლად საშემოსავლო გადასახადის და კულტგამოსალების შესახებ გამოანგარიშებული ძველი ცხრილები დაუყოვნებლივ გაუქმებული უნდა იქნეს.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი—**თ. ღლონტი.**
მას გადასახდელების სამმართველოს უფროსი—**ტუშმალაძე.**

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები რ. გ.
რკინის გზის კოოპ. საწევრო წიგნაკი № 424 66651 და 425/66636 რაჟდენ და სოფიო [illegible]

რუსთაველის თეატრის დირექცია, დასი, ორკესტრი და ტექპერსონალი აუწყებს თეატრის საყვარელ მუშაკის
ალექსი ვასილიევის
გარდაცვალებას. გამოსვენება 20 იანვარს არამიანცის ყოფ. საავადმყოფოდან. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე
1—1 6. 24

მშობლები: ბიძუ, პელაგია, ძმები: თედორე, სილიბისტრო, პლატონი, შოთა; დები: სონია: აგრაფინა, სიძე პლატონი და თედორე დანელიები იუწყებიან
ათანასე ბიძუს-ძე ხანაიას
უდროოდ გარდაცვალებას. 1—1 6529

მეუღლე პარმენ წულაია, მეგობრები: მიშა, ბასილის-ძე ანიჩკა, ოლია დანელიები იუწყებიან
ოლღა კიკნაძე—წულაიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 22 იანვარს 4 ს. პლეხანოვის პროსპ. 44. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 1—1 6530

დედა ფიმე, მეუღლე, ოლია, შვილები: ნორა და ვალოდია, სიძე ბენო მესხი, რძალი მარო, შვილიშვილები: ცისანა და ამიკო მესხები იუწყებიან
ვლადიმერ პავლეს-ძე ურუშაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 1—1 6520

ბიცოლა პელაგია წულეისკირისა შვილებით: ბაბული და სოსოთი, სიძით ჯუანშერ ლომბაშიძით, შვილიშვილებით: რომაზით და ციალათი იუწყებიან
ქეთო წულეისკირის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ტფილისში 21 იანვარს. 1—1 6528

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—68—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81 ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული 9496